

645/2
1985

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

8
1985



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანებზე ზრუნვით...

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ **XXVI** ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ფართო წრის ღონისძიებანი ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გასაძლიერებლად, გაუდიდდათ შემწეობა მარტოხელა დედებს, მოემატათ ასაკისა და ინვალიდობის პენსიები მუშებსა და მოსამსახურეებს. უფრო ხელშემწყობი პირობები შეექმნათ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობისათვის შრომისუნარიან პენსიონერებსა და მცირეწლოვანი ბავშვების დედებს. ამასთანავე მოსახლეობის აღნიშნულ კატეგორიათა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ინტერესებისათვის საჭიროა განხორციელდეს მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს მათი საპენსიო უზრუნველყოფა, განვითარდეს ღრმად მოხუცებულ მოქალაქეთა და ინვალიდთა სოციალური მომსახურების სისტემა, გაძლიერდეს სახელმწიფო დახმარება ბავშვიანი ოჯახებისადმი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ არის მიჩნეული, რომ 1985 წლის ნოემბრიდან გაუდიდდეთ ასაკის პენსიების მინიმალური ოდენობა კოლმეურნეობების წევრებს და მოემატოთ შესაბამისად მათ პენსიები ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო. ამავე დროს მუშა-მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს გაუდიდდებათ პენსიები, რომლებიც დაწესებული ჰქონდათ 60 მანეთამდე ოდენობით ათ წელზე მეტი ხნის წინათ, და ისინი მიუახლოვდება იმ პენსიათა დონეს, ამჟამად რომ ენიშნებათ ანალოგიური პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკებს. იმ მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე პენსიონერებისათვის, რომლებიც მინიმალური ოდენობის პენსიას იღებენ, წესდდება ექიმის რეცეპტით შესაძენი წამლების ღირებულების ორმოცდაათპროცენტიანი შეღავათი.

დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მშენებლობის დაჩქარებას, ადგილობრივი საბჭოებისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების მიერ მათი მომსახურების გაუმჯობესებას, საწარმოორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა მხრივ შრომის ვეტერანებისადმი დახმარებას, მარტოხელა, ღრმად მოხუცებული და შრომისუუნარო მოქალაქეებისადმი პროფკავშირებისა და კომკავშირის შეფობის განვითარებას, ამ მუშაობაში სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების თანამოქმედების გაუმჯობესებას.

გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა მეთერთმეტე ხუთწლედში გაფართოვდეს სახელმწიფო დახმარება ბავშვიანი ოჯახებისადმი. მათ შორის, შემწეობამისაცემ ბავშვთა ასაკი გაიზარდოს 12 წლამდე, გადიდდეს ავადმყოფი ბავშვის მოსავლელად საჭირო შვებულების ხანგრძლივობა, აგრეთვე დაუწესდეს ზოგიერთი სხვა შეღავათი ხელმოკლე ოჯახებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ ყურადღება ბავშვიანი ოჯახების, მარტოხელა, ღრმად მოხუცებული და შრომისუუნარო მოქალაქეების საჭიროებისა და მოთხოვნებისადმი, განახორციელონ მუდმივი კონტროლი იმისადმი, თუ როგორ უწევენ მათ საჭირო სახეობათა დახმარებას და როგორ ხორციელდება ამ კატეგორიის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილებანი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის, აგრეთვე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების, მათი მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავების ზოგიერთ სხვა საკითხზე.

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიკა ბარათაშვილი

# საერთო საფიქრალი

გორაკის ქვემოთ, ქუჩაზე, რომელსაც ჩემი მრავალსართულიანი სახლის მეშვიდე სართულიდან გადავცქერი, ასეთივე მრავალსართულიანი სახლებია ჩამწკრივებული და მათი ბინებიდან, განსაკუთრებით ღამის სიჩუმეში, მკვეთრად ამოიჭრებოდა ხოლმე ხან მწუხარების შეცხადება, ხანაც ლხინისა,— ზოგჯერ კი თავაწყვეტილი ღრეობის ხმები, რომლებიც არც თუ იშვიათად მონადიმეების ერთმანეთზე მიწევ-მოწევით, ლანძღვა-გინებით და დაფეთებული ქალების წივილკივილით დამთავრებულა.

რამდენჯერ შიშით შებოჭილი ვმდგარვარ ფანჯარასთან, აივანზე, მინდა ვიყვირო: „ხალხო, რას შვრებით!“ „ხალხო, უშველეთ!..“ მაგრამ ჩემი ხმა იქამდე რას მიაღწევს? და მე არ ვიცი, საით გავიქცე, ვის როგორ ვუშველო...

ვინ იცის, მსგავსმა ღრეობებმა რამდენ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, რამდენს მიაკერა მკვლელის იარლიყი, რამდენ მშობელს ჩააცვა ძაძები, რამდენი ოჯახი დაანგრია და დატოვა უძეოდ და უშთამომავლოდ...

და ამ უბედურებას ვერც სისხლის აღების სადღაც საუბედუროდ შემორჩენილი ადათით ახსნი, ვერც სხვა რაიმე მტრობით... მხოლოდ და მხოლოდ „საღვთო“ სასმელის (როგორც ჩვენს ღვინოებს უწოდებენ) „უღვთოდ“ გამოყენებით (მითუმეტეს, თუ შიგ შხამიც არის გარეული. — „გაკეთებულია“).

ერთხელ მატარებელში შემთხვევით მოვკარი ყური, როგორ იწონებდა კაცი თავს: ჩემი შვილის ქორწილში მოყვრისგან მორთმეული ერთი კასრი ბანგშერეული ღვინით მთელი სოფელი ისე დავათვრე, რომ ადამიანები ჭიშკრამდე გზას ველარ იგნებდნენო. და რაა გასაკვირი, თუ ასე გონდაკარგული ადამიანი მტერ-მოყვარეს ვერ გაარჩევდა და სასიკვდილოდ გაიმეტებდა, ანდა მანქანის საჭესთან მჯდარი უბედურებას დაატრიალებდა...

მახსოვს, როგორ შესძრა სოხუმი ორი დაქცეული ოჯახის უბედურებამ: მეზობლის ერთადერთი ვაჟი მეზობელთან ნადიმს რომ შესწრებია, გამომთვრალ მასპინძელს ღვინით სავსე ყანწი მიუწოდებია, ბიჭს მობოდიშებით უარი უთქვამს, ვერ დავლევ, ბიძია, არ შემიძლიაო და როდესაც იგი უკან გაბრუნებულა, მასპინძელი წამოწევია და ზურგში დანა გაუყრია...

პრესის ფურცლებს რომ თვალი გადავავლოთ, ვნახავთ: ოჯახებში, რესტორნებში, გზებსა და გზაჯვარედინებზე დატრიალებულ უბედურებაში უდიდეს წილად ლოთობასა და ალკოჰოლიზმს მიუძღვის ბრალი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ცნობილმა სომეხმა მწერალმა ზორი ბალაიანმა ერთი ოჯახის შემზარავი ტრაგედია გვამცნო „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებიდან იმის თაობაზე, თუ როგორ გაუბედურდა ავტომანქანების ოქროხელა ხელოსნის (ერევნელები „ვარპეტს“ რომ ეძახდნენ) მთელი ოჯახი. ხელოსანი გასამრჯელოს არავის ართმევდა, მადლიერი მუშტრებიც მხოლოდ კონიაკით უმასპინძლდებოდნენ და აი, ამ გულუხვი, ყოველდღიური მასპინძლობის შედეგად მისი ოთხივე შვილი გონებრივად დაქვეითებულ ბავშვთა სახლს შემორჩა, თვითონ კი, როდესაც მათი გაუბედურების მიზეზი გაიგო, თავი ჩამოიღრჩო.

წლეულს ბალაიანმა (და ისევ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე) წერილში „სძლიე თავსა შენსა“ მოგვითხრო, თუ რა გაჭირვებით, რა მსხვერპლის ფასად (ერთი შვილი დაეღუპათ, მეორე კი — არასრულწლოვან დამნაშავეთა სკამზე მოხვდა) დააღწია გალოთებულმა ცოლ-ქმარმა თავი ამ



# მომავლის სადღეგრძელოდ

„გურიაში მივალ მარა,
სული წინ-წინ გაიპარა.
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა
მთა და ბარი მომატარა“.

**ხალხური**

ჯერ იმ ინფორმაციის შესახებ, რომელმაც მივლინება მოითხოვა:

„განვლილ სამ წელიწადში მახარაძის რაიონის მოსახლეობა 1600 კაცით გაიზარდა. 1984 წელს მესამე შვილი 166 ოჯახში დაიბადა, მეხუთე შვილი — 29 ოჯახში. ამ ხნის განმავლობაში რაიონის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული კეთილდღეობისათვის 2 მილიონ 500 ათასამდე მანეთი დაიხარჯა“.

ბევრია ეს თუ ცოტა? — უთუოდ არც ისე ცოტა, თუ კი მახარაძის რაიონის ქალებმა შეთანხმებულებივით აუშვეს გამარჯვების აფრები და ბედნიერ მამაკაცებს ზედიზედ არგუნეს მამობის სიხარული.

ოთარ თენეიშვილი — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი:

— მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო! თავად განსაჯეთ — თუ კი რაიონის კომუნისტები, მშრომელი ადამიანები სამომავლოდ მნიშვნელოვან გეგმებს სახავენ, იმაზეც ხომ უნდა დაფიქრდნენ, ვინ განახორციელებს ყველაფერ ამას?

წინასწარი ვარაუდით 2000 წლისათვის ჩაის წარმოების გადიდებას ვაპირებთ 150 ათას ტონამდე, ციტრუსებისა, — 70 ათას ტონამდე. მნიშვნელოვნად განვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. მრეწველობა გამოუშვებს 380 მილიონი მანეთის პროდუქციას. რაიონის სახალხო მეურნეობას შეემატება მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. მერე და, ვინ უნდა ზიდოს მომავლის მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო ტვირთი?

საშინელ სენს, რომელიც შეუმჩნევლად, სადილად მირთმეული თითო ჭიქა არყით შემოეპარათ.

ამას წინათ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა ს. მარტინიუკის წერილი „დაბადებამდე დაავადებულნი“, რომელშიც ავტორი გვამცნობდა ანომალური მიდრეკილებებით დაავადებული ექვსი და-ძმის ამბავს, რომელთაგან უფროსმა დამ ქვეყანას კიდევ ორი ასეთივე უბედური, პარალიზებული და სამუდამოდ საწოლს მიჯაჭვული ბავშვი შესძინა. ამ ექვსი შვილის დედა და ორი შვილიშვილის ბებია კი შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ რესტორანშია ჭურჭლის მრეცხავად და სვამს და სვამს...

ექიმთა საერთაშორისო ორგანიზაცია შეშფოთებულია ამ „უდანაშაულო დამნაშავე“ ბავშვების რიცხვის საოცარი ზრდით, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის შემზარავი შედეგებით და ყოველი ქვეყანა ეძებს გზებს ამ გამანადგურებელი სენისაგან თავდასაღწევად...

იქნებ, საჭირო არ იქნებოდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის კანონით აკრძალვა, ყველა ჩვენგანს ერთხელ მაინც რომ შეეხედა მშობლების ცოდვებით ავსებულ ჩვილ ბავშვთა ზოგიერთ სახლში? მეორედ მისვლა ველარ შევძელი, მაგრამ ის, რაც ერთხელ ვნახე, არა მგონია ოდესმე წაიშალოს მეხსიერებიდან...

განსაკუთრებით სამწუხაროა, როცა მათს გაუბედურებაში დედებს მიუძღვით ბრალი.

ერთგან ქალთა ნადიმს შევესწარი. სუფრას იმ სოფელში სმით განთქმული ქალი თამადობდა. თვითონ ჩაის ჭიქებში თუ ყანწებში წვეთ ღვინოს არ სტოვებდა და სხვებსაც, შეეძლოთ თუ არ შეეძლოთ, ხასმისს სასმისზე აცლევინებდა. განა სოფლად თუ ქალაქად ქალებს თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს ასეთი „თავმოსაწონი“ თამადა და „მასწავლებელი“?.

არა მგონია, მთვრალ ქალზე ამაზრზენი იყოს რამე.

ემანსიპაცია დიდებული რამ არის, მაგრამ სმაში მამაკაცებთან შეჯიბრება არც სახელს შეგვმატებს და ვერც ოჯახ-ქვეყანას აგვიშენებს. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ქალთა შორის ალკოჰოლიზმით დაავადება იშვიათია, მაგრამ ამ იშვიათ შემთხვევებსაც დროით უნდა მიხედვა, რომ არ გავრცელდეს.

ქართველი ქალის გონიერებამ ამძლავრა ოჯახი და ერი, უმრავლა საქართველოს სახელი და დიდება და მასვე ევალება გააორკეცოს ზრუნვა ოჯახისა და ქმარ-შვილისათვის, გულმხურვალებით იბრძოლოს ჩვენი დიდებული ტრადიციების ჯანსაღად დაცვა-შენარჩუნებისათვის.

გვიმრავლოს საქართველოში ლხინი და ქორწილი, ნუ მოგვეშალოს სტუმრის მიღების შნო და ლაზათი, სტუმარ-მასპინძლობის ადათი, მეზობლისა და მოკეთის თანადგომა, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო.

როდის შეიცვალა სუფრაზე სადვინე ჭიქა ჩაის ჭიქით, როდის დაიტვირთა ჭირის სუფრა სახსნილო ხორაგით, როდის იქცა ალებ-მიცემობის საგნად და ოჯახის გამდიდრების წყაროდ მისი ჭირი თუ ლხინი?

ამ ოციოდე წლის წინათ შუა აზიაში ყოფნისას მე და პოეტი ანდრო თევზაძე ქორწილში მიგვიწვიეს. ექვსახკაციან სუფრის მონადიმეებიდან არც მღეროდა ვინმე, არც ცეკვავდა. ერთი თარის დამკვრელი და მომღერალი უვლიდა ირგვლივ სუფრას, უკან საცეკვაოდ ხელგაშლილი ქალი მოჰყვებოდა და ვისაც მიუმღერ-მიუცეკვებდნენ, უმალვე გასამრჯელოს დაიძრობდა. იმ ფულს მოცეკვავე ქალი მომღერალს ბოხოხქვეშ შეუცურებდა და ბოხოხიც მაღლა მიიწევდა დაცლიდნენ და ისევ იზრდებოდა.

გამოხდა ხანი, ქორწილის ის წესი სავალალოდ ჩვენთანაც გავრცელდა და, აი, ორი წლის წინათ უკვე აქ, ჩვენთან ასეთსავე ექვსასკაციან თუ შვიდასკაციან ქორწილს დავესწარი, მაგრამ ერთ საათსაც ვერ გავუძელი, მოვდიოდი და ვშიშობდი, რაიმე უბედურებით არ დამთავრებულიყო ორი ახალგაზრდის ის ბედნიერი დღე.

ივლისის დასაწყისში ტელევიზიამ რამდენჯერმე სიხარულით გვამცნო: დღეს საქართველოს გზებზე არცერთი საავტომობილო ავარია არ მომხდარაო. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მომიხდა გამგზავრება და ორასკილომეტრიან გზაზე წასვლა წამოსვლისას არცერთ საგზაო შემთხვევას არ წავწყდომივარ. და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რა აუცილებელი ყოფილა წლეულს ივნისში გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჩინებული დადგენილება ლოთობის აღკვეთის შესახებ, იმისათვის რომ გვქონდეს მშვიდობა შინ და გარეთ რომ შემცირდეს უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვი, რომ არ ვშიშობდეთ, უვნებლად დაგვიბრუნდებიან თუ არა შინიდან გასული ქმარშვილი და მახლობლები.

ალბათ, ეს დადგენილება ყველაზე მეტად ქალებს, დედებს უნდა გვახარებდეს და ყოველი ჩვენგანი, ჩვენსავე საკეთილდღეოდ, ჩვენი ოჯახების და ქვეყნის საკეთილდღეოდ ხელს უნდა ვუწყობდეთ ამ დიდად ჰუმანური კანონის განმტკიცებას, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებას.

დიახ, ეს ჩვენი საზრუნავია, ყველა ჩვენგანის საფიქრალი!



ოთარ თენეიშვილი

სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სამსჯელოდ დემოგრაფიული პრობლემები გავიტანეთ. მართლაც, თუ კი გვინდა რეალურად დავსახოთ რაიონის ეკონომიკური განვითარების გეგმები, წარმოვიდგინოთ მახარაძის რაიონის ხვალინდელი დღე, ამ რაიონის სოციალური განვითარების შესაბამისად, უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ზრდის ტემპიც უნდა გამოვძებნოთ გზები ამ პროცესის სამართავად.

ჩვენს უმთავრეს ამოცანაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმმაც მიგვითითა, როცა მოგვთხოვა მიზანმიმართულად, მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით მოგვეხდინა ზემოქმედება დემოგრაფიული სიტუაციით აღმოცენებულ პროცესზე. ჩვენც არ დავაყოვნეთ და მთელი რიგი ღონისძიებები დავსახეთ. მე არ შევუდგები მათ ჩამოთვლას, მოგეხსენებათ, ასჯერ ნათქვამს ერთხელ ნანახი სჯობიაო. თქვენც ჯერ ნახეთ და მერე ვისაუბროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღე პირველი, ანუ დედობის სიხარული

„ერთი შვილი — ტყუილა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი — დასტურ შვილი.“

ხალხური

— მასპინძელო!

— მობრძანდი, შენი ჭირიმე!

ჭიშკრისკენ გამორბის ათი წყვილი ფეხი და ათი წყვილი თვალი — ერთნაირად ცისფერი, მხიარული და ცნობისმოყვარე სტუმრებს აჩერდება.

— ვისი ხართ, თქვენ? — ომინარ გიორგაძის. — რამდენი ხართ? — თერთმეტი. მეთერთმეტე დედას — ლამზირა ლომინაძეს უჭირავს ხელში. ეზოში თეთრად ქათქათებს ორსართულიანი ოდა-სახლი, გარშემო მწვანედ აშლილი ბაღჩა-ბაღია, სადღაც შორს, იქნებ გურიის ქლიავისფერი მთებიც მოსჩანდეს, მაგრამ ცაში აჭრილ ჭადრებს ისე წაუშლიათ თვალსაწიერი, რომ მარტო გიორგაძეების ეზოს ხედავს თვალი და მალე ვხვდებით, რომ ასეც ყოფილა საჭირო.

მასპინძელი სტუმართმოყვარეა და შინ გვეპატიჟება, მაგრამ ეზოში დარჩენას ვამჯობინებთ.

— რა გქვიათ?

— მიშიკო, მამუკა, ანზორი, მანანა, მარინა, მალხაზი, მაკა მერაბი, ქეთინო, ნინო. მზიას მაგივრად დედა ამბობს. უფროსი ამ თერთმეტიდან თექვსმეტი წლისაა, უმცროსი — რამდენიმე თვის. ახლა დეკრეტულ შვებულებაშია ლამზირა, თორემ შარშან 102 კილოგრამი პარკი ჩააბარა კოლმეურნეობას და ნახევარი ტონა ჩაი მოკრიფა.

— კი მაგრამ, ბავშვები?

— ბაგა აგერ ეზოს გადაღმაა, არც სკოლაა შორს, მერე რა უჭირს, სკოლიდან მოსულები გვერდში რომ ამომიდგნენ, შარშან ექვსი ათასი მანეთი მივიღეთ ყველამ საერთო შრომით. მერე კოლმეურნეობამ სამასი მანეთი დახმარება მომცა. ომინარსაც მისცეს პურკომბინატში, ფერადი ტელევიზორიც აჩუქეს.

— რამხელაა თქვენი საკარმიდამო ნაკვეთი?

— სამი ათასი კვადრატული მეტრი.

მინდა წარმოვიდგინო ჩვეულებრივი დილა გიორგაძეების ოჯახში, როცა მაგიდას ცამეტი სული მიუჯდება, მაგიდაზე ცამეტი დანა-ჩანგალი ახმაურდება, ცამეტი ჭიქა გაიწკარუნებს, ცამეტი თეფში დაეწყობა და დაიჭრება იმდენი პური და ყველი, დაილევა იმდენი რძე, ზოგიერთ ოჯახს მთელი კვირის მანძილზე რომ ეყოფა.

— სად შოულობთ ამდენ რძეს?

— ჩვენი ძროხებიც იწველის, მაგრამ ისე, თვეში 40 ლიტრი რძე შემოგვაქვს კოლმეურნეობიდან უფასოდ.

— ტანსაცმელი?

— კოლმეურნეობა გვაძლევს.

— ეს სახლი?

— კოლმეურნეობამ აგვიშენა.

მოდი და, ნუ გამრავლდები!

მე მინდა წარმოვიდგინო ორიათასი წლის ზაფხული, როცა მიშიკო უკვე ოცდათერთმეტი წლის იქნება, მამუკა ოცდაათის, ანზორი ოცდაცხრისა და ასე შემდეგ. თითოეულ მათგანს ექნება საკუთარი ოჯახი, ეყოლება მემკვიდრე და ქვეყანა გიორგაძეების ნამრავლითაც იხარებს. იმ დროზე ახლა ზრუნავენ მახარაძელები და არც თუ ურიგოდ!

**მაყვალა ჟღენტი** — მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— ხვალეზე ფიქრი დღეს თუ არ დაიწყე, ხვალ გვიან იქნება. ამიტომაა, რომ რაიონული საბჭოს სესიამ ოფიციალურად დაამტკიცა რაიონის ახალი დემოგრაფიული პოლიტიკის პროექტი, ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიახლის გათვალისწინებით — მრავალშვილიანებად მიჩნეული იყოს სამშვილიანი ოჯახებიც და მრავალშვილიანებისათვისაც ნავარაუდევი შეღავათები მათზედაც გავრცელდეს.

— რას ნიშნავს ეს?

— იმას, რომ კოლმეურნეობაში, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით, მრავალშვილიან დედებს უწესდებათ ძირითადი ანაზღაურების დანამატი. კოლმეურნეობებში მომუშავე ჩვილბავშვიან დედებს უმცირდებათ სამუშაო დღე ორი საათით. მრავალშვილიან დედებს უმცირდებათ გამომუშავების ნორმები. სამშვილიან დედას ორი წლით ადრე შეუძლია გასვლა პენსიაზე, ოთხი შვილისას — სამი წლით ადრე, ხუთი შვილისას — ხუთი წლით ადრე.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიეცემა მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს.

თუ მრავალშვილიან მშობლებს პენსიაზე გასვლის მომენტში ჰყავთ სასკოლო ასაკის თუნდაც ერთი შვილი, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა მისცეს პენსიის დანამატი 30 მანეთამდე.

სოფლებსა და დაბებში მრავალშვილიანი ოჯახები ყოველწლიურად უზრუნველყოფილი უნდა იქნენ პიონერთა დასასვენებელი ბანაკების 1-2 უფასო საგზურით.

სოფლებსა და დაბებში მრავალშვილიანი ოჯახები თავისუფლდებიან საბავშვო ბაღებში კვების გადასახადისაგან. სამშვილიან კოლმეურნე დედას უნდა გაუდიდდეს შვებულება ხუთი დღით, ხოლო ოთხ და მეტშვილიანს ათი დღით.

მრავალშვილიანი ოჯახების დაქორწინებულ ვაჟებს მიეცემა სამოსახლო ნაკვეთი, აგრეთვე, საშენი მასალა, ხელმოკლე ოჯახებს ტიპობრივი პროექტით აუშენდება სა-



მაყვალა ჟღენტი



მარგო ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებელი სახლი, რომლის გამოხყიდვის ვადად დაწესებულია სამშვილიანებისათვის 5 წელი, სამზე მეტ შვილიანებისათვის — 10 წელი. სოფლად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან რძით.

მცირეშემოსავლიან ოჯახებს ბავშვებისათვის დაწესებული დახმარება თითოეულ ბავშვზე გაუდიდდება 25 მანეთამდე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე.

მრავალშვილიანი ოჯახების ეზო-კარს გაუკეთდება აბრა წარწერით — „აქ ცხოვრობს მრავალშვილიანი ოჯახი“.

ვფიქრობ, ჩვენი სესიის ამგვარი გადაწყვეტილება პირდაპირ ეხმაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის დადგენილებას — „ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

თუ როგორ ახორციელებს რაიონი თავის ახალ დემოგრაფიულ პოლიტიკას, ამას თქვენ თავად ხედავთ.

## დღე მეორე ანუ გივი წითლიძის „სასწაულები“

„სამნი ძმანი გურულები, მუშაობდნენ ყანასაო. მუშაობაც კარგი ჰქონდათ, დასძახოდნენ ნანასაო“.

ხალხური

ვერავინ დამარწმუნებს, რომ კრიმანჭულის საიდუმლოება ერთხელ და სამუდამოდ ამოხსნილია. რატომღაც მგონია, რომ ზოგჯერ მისი ნიშნისმოგები ჩაკარკაცება სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ მავანი და მავანი გურული „შეიდკაცას“ საიდუმლოებას შეეჭიდა. ის, რაც ნატანების კოლმეურნეობაში ხდება, რაღაცით „შეიდკაცას“ საოცარ ჰარმონიას მაგონებს. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, მიკვირს, ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გივი წითლიძემ როგორ ვერ უზრუნველყო ნატანები აეროდრომით, რომელიც ნატანებისკენ მოჩქარე სტუმარს თვითმფრინავით გზას შეუმოკლებდა და გივი წითლიძის სასწაულებს იმაზე უფრო ადრე აჩვენებდა, ვიდრე ჩვენ შევიტყობდით მათ შესახებ.

ახლა ნატანებში მანქანით რომ შებრძანდებით, ვიდრე კოლმეურნეობის გამგეობის საქვეყნოდ ცნობილ შენობას ნახავდეთ (საქვეყნოდ რომ ვამბობ, კინოფილმ „ჭრიჭინას“ ვგულისხმობ, რომელშიც ამ შენობას, არც თუ მეორეხარისხოვანი როლი აქვს შესრულებული). დიახ, იმას ვამბობდი, ვიდრე ამ შენობას მიუახლოვდებოდეთ, უთუოდ გაგაოცებთ მოზაიკით მოპირკეთებული სასახლის იერი. ამ სასახლეს ნატანებლები, თავმდაბლურად საბავშვო ბაღს უწოდებენ, ვფიქრობ, ამაში გივი წითლიძის მორიგი მახვილგონირებაა ჩაქსოვილი, რადგან თუ ეს სასახლე ბაღია, მაშინ მართლა სასახლე, როგორიღა უნდა იყოს!

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ყოველი ნაბიჯი მომავლის პერსპექტივით განიზომება. ბაღი-სასახლე 150 ბავშვზეა გათვალისწინებული, შიგნით ორი დიდი აუზია, საშხაპეები, საძინებლები, სათამაშო, გასართობი და გამაჯანსაღებელი კაბინეტები. ბაღის შენობა სავსეა მზითა და სიხარულით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო ორსამ წელიწადში საინიციატივო მშენებლობით მახარაძის რაიონს, მართლაც, მშვენიერი საბავშვო ბაღები შეემატა — ლიხაურში, ნასაკირალში, ჭანიეთში და თვით ქალაქის ცენტრში. ურეკის ერთადერთი რესტორნის შენობაც, სწორედ საბავშვო ბაღს გადაეცა.

დავუბრუნდეთ ისევ ნატანებს, სადაც სოფლის ცენტრშივვა ახალი სპორტული კომპლექსი, ვეებერთელა კეთილმოწყობილი დარბაზით, ყველა რანგის სპორტული ღონისძიებების ჩატარება რომ შეიძლება, სწორედ ისეთით. სპორტული მოედნები არც ცალკეულ ბრიგადებს აკლია.

ადგილს, სადაც მეთოთხმეტე ბრიგადაა განლაგებული, „მომწვარა“ ეწოდება. არ ვიცი, ვისი ან რისი მიზეზით ეწოდა ამ ადგილს ასე, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურება იგი დღეს, სახელწოდების გაპროტესტება შეიძლება — მოსავლიანი ჩაის პლანტაციების მოვლილი რიგები, მშვენიერი კლუბი, აბანო, სასადილო, სპორტული მოედანი.

ნინო პატარავა კომკავშირული ბრიგადის წევრია, მრავალშვილიანი დედა და შრომის დამკვრელი. შარშან იმდენი ჩაი მოკრიფა, რომ ორი ათასი მანეთი მიიღო ფულად, დახმარების სახით ორასი მანეთი მისცეს.

— ოქროსავით ოჯახი აქვს, მივცემდით, აბა რას ვიზამდით! — გვეუბნება გივი წითლიძე და თან იმასაც დასძენს, რომ პატარავების ოჯახში ცეკვის განწყობილებაა შექმნილი.

— ჩვენი თავმჯდომარე იმაზე მოგახსენებთ, — გვიხსნის ნინო, — რომ ჩემი ქალიშვილები მოცეკვავეები არიან.

— თორემ თქვენ იტყვით უარს ცეკვაზე! რა გაკლიათ ვითომ? ოთხი სული ძროხა თქვენ გყავთ თუ მე? ქათამი, ბატი, ინდაური, ხილი, ჩაი, ლიმონარიუმი. ისე ერთია გასაკვირი, როდის პოულობთ ცეკვის დროს?

ყველანი იცინიან.

— სიმართლე რომ გითხრათ, — განაგრძობს თავმჯდომარე, ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენთან ერთდროულად ცეკვავდა სამასი ბავშვი და მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, (ახლა არ გეტყვით იმის გვარს) მითხრა, ნეტა ჩემს სოფელში იმდენი ბავშვი იყოს, რამდენიც შენთან ცეკვავდაო. შეუქმენი, ჩემო ბატონო, პირობები და იცეკვებს, აბა რას იზამს! ისე, სკოლა არ დარჩა ჩვენს რაიონში ხალხური ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი სტუდია რომ არ ჰქონდეს, ახლა რაიონს საფეხბურთო სკოლებიც მიემატა. გურული კაცი ჩქარია ბუნებით, სიტყვებს ამოკლებს თუ ენაზე ზედმეტი თანხმოვანი მოედო. ეს სიჩქარე საქმესაც რგებს და გართობასაც.

— „კრიმანჭულზე“ რას იტყვით?

— „კრიმანჭულს“ თქმა რად უნდა, იმას გაგონება სჭირდება. ჩვენი ცხოვრების პრინციპი ასეთია — თუ გინდა რომ ფეხზე მკვიდრად იდგე, ჯერ დასადგომი ადგილი მოამზადე, მერე — საკუთარი თავი.

რა გვაქვს? — ყველაფერი: ციტრუსები, ჩაი, ტუნგო, თესლიანი კულტურები, მეცხოველეობა, მიკრო ჩაის ფაბრიკა.

რა გვაკლია? — ცოტა მეტი მონდომება, ცოტა მეტი თავდადება.

არ ვკითხულობ, ამ „ცოტაში“ გივი წითლიძე რა აზრს დებს, მაგრამ ვხვდები, რომ ამ „ცოტას“ მასშტაბები თუ ახლა მართლა პატარაა, შედეგი უსათუოდ დიდი იქნება, რადგან წითლიძის „სასწაულების“ საიდუმლო სწორედ იმ პარადოქსებშია, რომლებსაც მხოლოდ შედეგის მიხედვით ვაფასებთ.

სპორტულ მოედანზე თამაში მთავრდება. გამარჯვებულების სიცილ-ხარხარი კარგა ხანს ხავერდივით ეფინება ჩაის რიგებს. კმაყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამგეობის სხდომაზე მიიჩქარის. დღეს მასთან ნატანების მოწინავე ქალები იკრიბებიან — კლარა კონტრიძე — პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარე, გულნარა ანდღულაძე — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მზია ნატროშვილი — მთავარი ეკონომისტის მოადგილე, ლამზირა ცენტერაძე — საერთო განყოფილების გამგე, ლილი გოლიაძე — მრავალტირაჟიან გაზეთ „ნატანებელი კოლმეურნის“ რედაქტორი, სოფლის მთავარი ექიმი მზია ქინქლაძე, კოლმეურნეობის მთავარი ექიმი ეთერ კუკულაძე, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის გამგე ეთერ ძნელაძე, სოციალისტური შრომის გმირები: ლოლა გოგიტიშვილი, დარეჯან ტაკიძე, ლიუდი ხურციძე, თამარ ცენტერაძე, ანა ღლეყვა, ნინო მიმინოშვილი, მარო გორგოლაძე — მართლაც, გმირი ქალია მარო, სამი შვილის დედობაც მოასწრო და არც შრომაში ჩამორჩა არავის, პირიქით, გაასწრო კიდეც.

— აბა თქვენ თვითონ ბრძანეთ, სოფელში თუ ამდენი მოწინავე ქალია, რაღა რჩებათ ბედნიერ მამაკაცებს, სიმღერის გარდა, მაგრამ მთავარი არ დაგავიწყდეთ — ჩვენებური კაცი მხოლოდ მაშინ იწყებდა სიმღერას, როცა სასიმღეროდ ჰქონდა საქმე. იმღერებ, აბა, არ იმღერებ, ნატანებელი ქალების ხელში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ ტაკიძე

**— მახარაძის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსი:**

— ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება რომ ოჯახების კეთილდღეობის განმტკიცებისკენ იქნებოდა მიმართული, ეს იმთავითვე გამოჩნდა, როცა აგროსამრეწველო გაერთიანებასთან ცენტრალიზებული ფონდები შეიქმნა. ეს ფონდი სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით გამოიყენება, მაგრამ, ვფიქრობ, არა ნაკლებ სასიამოვნოა, როცა ამ ფონდების მეშვეობით მრავალშვილიანი ოჯახების სასკოლო ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებითა და ფორმის ტანსაცმლით.



ლ. ლომინაძე შვილებთან

ყველაფერი, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, ნატანებელთა ინიციატივის გაღრმავებას ეხებოდა. სწორედ ნატანების კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ პირველებმა შეიმუშავეს მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური დახმარების დებულება, რომლის მიხედვითაც სამშვილიან დედას ემატება ძირითადი ანაზღაურების 15 პროცენტი, ოთხშვილიანს ოცი, ხოლო ოთხზე მეტი შვილისას — 25 პროცენტი, თუ ოჯახის თითოეული წევრი ჩაბმული იქნება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, შეასრულებს საწარმოო გეგმებსა და საზოგადოებრივ დავალებებს. გარდა ამისა, მრავალშვილიან ოჯახებს ბინათმშენებლობისთვის ეძლევათ გრძელვადიანი სესხი 1500 მანეთის ოდენობით, სამშვილიანს ასეთი სესხი ეძლევა ხუთი წლის ვადით, ოთხშვილიანს — შვიდი წლის ვადით, ხუთ და მეტ შვილიანს ათი წლის ვადით. ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას მრავალშვილიან ოჯახებს სესხის გადასახადი უმცირდებათ 100 მანეთით, მრავალშვილიან დედებს პირველ რიგში ეძლევათ საკოლმეურნეო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის საგზური.



პატარა[illegible] ოჯახი

ბევრი რამ კეთდება ნატანებში ახალგაზრდებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ნატანებელთა ინიციატივამ სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდის სამუშაო ადგილისა და სამხედრო სამსახურის გავლის მთელს პერიოდში საშუალო ანაზღაურების შენარჩუნების შესახებ.

ადამიანს ისევე სჭირდება საქმე, როგორც საქმეს ადამიანი. ჩვენი რაიონის განვითარების ძირითად პერსპექტივას ადამიანებში ვხედავთ და ამიტომაა, რომ დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტისას, მამებიც არ დაგვვიწყებია — სწორედ მრავალშვილიან მამებს გავუდიდეთ შეღავათები — სამშვილიანს ხუთი დღით, ოთხ და მეტშვილიანს — ათი დღით. კადრების შერჩევის და განაწილების დროს უპირატესობა მივანიჭეთ იმ მამებს, ვისაც სამი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი შვილი ჰყავს, მათვე უნაწილდებათ ურიგოდ მანქანები, ავეჯი, საგზურები. ერთი სიტყვით, ახლა ჩვენს რაიონში მამობა ყველაზე საპატიო მოვალეობაა, თუმცა, როცა საკითხს რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივი იხილავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი რამ ჩვენ თავად არ მოგვწონს. არ გვაკმაყოფილებს რაიონის სინამდვილეში სახალხო მეურნეობის განვითარებისა და შრომითი რესურსებით მისი უზრუნველყოფის პერსპექტივა. მართალი გითხრათ, არ მესმის ასეთ პირობებში, რატომ სჯერდებიან ჩვენი ქალები ერთ ან ორ შვილს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ რაიონში შობადობის დონე მაინც დაბალია. მთავარი კი ქვეყნის წინაშე ჩვენი პატრიოტული ვალის იმდაგვარი შეგრძნება უნდა იყოს, როცა საკუთარ შვილს მხოლოდ შენივე ოჯახის წევრად კი არ აღიქვამ, არამედ მამულიშვილად და მასში შენი ოჯახის, ამდენად, ქვეყნის მომავლის იმედსაც ხედავ.

## დღე მესამე, ანუ სიყვარულიც ასეთი უნდა

„ლამაზია ეს ცხოვრება,
სიყვარულით ნაშენიო,
სანამ ცოცხალ ვიქნებით,
შენ ჩემი ხარ, მე შენიო“.

ხალხური

— ჩემი ვანიჩქა ნუ მომიკვდება, ამისთანა სირცხვილი ჯერ არ მიჭამია.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო მარგალიტა, პირიქით, ჩვენ გვაპატიეთ, რომ ასე გაუფრთხილებლად დაგესხით თავს.

— ჩემი მეუღლე რომ გაიგებს ამ ამბავს, არაფრით არ მაპატიებს: არა, ბატონო, თქვენ არ იცნობთ იმას, ოქროს გული აქვს, ჩემსავით კერპი კი არაა, მე ავი ვარ, ნამდვილად ავი. საავადმყოფოს ფურცელზე ტყუილ-უბრალოდ რომ მომაკითხოს ვინმემ, ნამდვილად ვერ გამასწრებს. ალბათ ამიტომ არ ვუყვარვარ ზოგიერთს.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო მარგალიტა, იმ „ზოგიერთმა“ მოგვასწავლა სწორედ თქვენთან, გვითხრეს — იშვიათი ექიმიაო.

— ჩემს მეუღლეზე რომ ეთქვათ, კი დავიჯერებდი, გენაცვალე, მაგრამ საკუთარი თავის ქება რა მოსატანია.

ეს დიალოგი სოფელ შემოქმედის ერთ ლამაზ ეზოში მიმდინარეობს. მარგალიტა ლორთქიფანიძე შემოქმედის საექიმო ამბულატორიის გამგეა, ვანო ჩხატარაშვილი, მისი მეუღლე, რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე პოლიკლინიკის დარგში.

აქაური ავადმყოფები კვალიფიციური საექიმო დახმარების გარდა, იმ საოცარი ადამიანური სითბოთი არიან განებივრებულნი, რომელიც ქალბატონ მარგალიტასთან პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენით, მარგალიტა ლორთქიფანიძე თითქმის ორმოცდაათი წელია აქ მუშაობს და გომსა და წითელ მთაში განლაგებულ ორ საფერშლო პუნქტსაც ემსახურება. მისი ოჯახის ცხოვრების მორალური დევიზი ასეთია — „შავი პური და სიტკბოება!“

— ვანიჩქა ნუ მომიკვდება, ის რომ ახლა აქ იყოს, ასე გაუმასპინძლებლად როგორ გაგიშვებდათ!

ქალბატონი მარგალიტა ვერ ხვდება, რომ ყველაზე კარგ მასპინძლობას იგი იმ შორისდებულებით გვიწევს, რომელთა გარეშე, მეუღლის სახელს არ ახსენებს.

ოცდაჩვიდმეტი წელია მას სასოფლო საბჭოს უცვლელ დეპუტატად ირჩევენ. ჭეშმარიტად ხალხის რჩეულს, ადამიანებზე ზრუნვა თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად უქცევია.

იმაზე, თუ რატომ მიიღო მარგალიტა ლორთქიფანიძემ საპატიო ნიშნის ორდენი და მედალი „შრომითი მამაცობისათვის“, თითოეული შემოქმედელი გადაუდებელ საქმეს გადადებს და სიამოვნებით ისაუბრებს.

იმედიანი სიტყვა? — კი, ბატონო, — სწორი დიაგნოზი? — უმალ ბატონო, სითბო და სიყვარული? — რამდენიც გენებოთ.

ასე, მართლაც საქმე საათივით აქვს აწყობილი სოფლის ექიმს, რაც მთავარია, ყველაფერი იცის შემოქმედელ ქალთა ჯანმრთელობის შესახებ, განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ჰყავს მშობიარენი, ბავშვები.

— ვინ უნდა უპატრონოს ამ სოფელს, ჩვენს მერე? — ვინ და ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა!

დავბერდით მე და ვანიჩქა, შვილიშვილები მოგვემრავლდა, ენაცვალოთ ბებია, მაგრამ გულახდილად მინდა გითხრათ, პენსიაზე გასვლას არ ვჩქარობ, ამბულატორიის გამგეობაზე სიამოვნებით ვიტყოდი უარს, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ საიმედო ხელში გადადის ყველაფერი. ამ სოფლის ყველა მცხოვრების ჯანმრთელობაში ჩემი სულია ჩადებული და ასე ადვილად არ გამემეტება!

მახარაძის რაიონის ქალთა რაიონული საბჭოს სხდომიდან. ქალთა რაისაბჭოს თავმჯდომარე, რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი ლამარა დოლიძე.

რაისაბჭოს მდივანი — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორი ლანერი გოგუა.

რაიონულმა საბჭომ, რომლის სხდომასაც ესწრებოდნენ რაიონის შრომისა და ბრძოლის ვეტერანები, განიხილა რაიონში დემოგრაფიული სიტუაციის საკითხები, რომელთა შორის ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხიც იყო შეტანილი.

აღნიშნეს შემოქმედის საექიმო ამბულატორიის გამგის მარგალიტა ლორთქიფანიძის განსაკუთრებული მეურვეობა ფეხმძიმე ქალებზე, მაღალკვალიფიციური პროფილაქტიკური და საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა განსაკუთრებით ახლადდაქორწინებულთა შორის, რაც ამ ღონისძიების სოციალური მნიშვნელობის მაღალი შეგნებითაა ნაკარნახევი.

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია!“ მოხდენილად და ზუსტად თქვა პოეტმა და თუ ასეა, მაშინ მახარაძის რაიონის მცხოვრებნი გურიის იმ ლამაზ მთებს ჰგვანებიან, რომლებიც ლურჯ ზოლად გაწოლილა ცასა და მიწას შორის. არშეპუებულნი ქარსა და ავდარს ებრძვიან, ნისლებს, ზვავსა და მეწყერს და მუდამ ამაყნი და წელგამართულნი თვალს უსწორებენ მზეს, ცას, რომლის სახელიც არა თუ შემთხვევით, არამედ საგანგებოდ დაარქვეს ქალს. („ცას“ გურიაში ხომ გოგონას უწოდებენ!)

რამეთუ ქალი არს დედაბოძი ოჯახისა, დედამიწა და დედა-სამშობლო.

* * *

„ძვირფასო ქალებო!

გულითადად გილოცავთ ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, წელთა სიმრავლეს!

თქვენ ხომ იმ ძნელბედობის ჟამს იკისრეთ ოჯახის ბალავრობა, შეურცხვენლად გამოატარეთ ქართველი ქალის, დედისა და მეუღლის წმინდა სახელი, შეინარჩუნეთ მხნეობა, მუხლჩაუხრელად ჩადექით საქვეყნო შრომის ფერხულში და შეუდრეკელად შეერკინეთ ყველა გასაჭირს.

თქვენ ხომ ახალგაზრდული წლები უსასრულო მოლოდინში განვლეთ, მაგრამ მოვალეობამ სამშობლოსა და უმამოდ დარჩენილი შვილების წინაშე შეუძლებელიც შეგაძლებინათ. თქვენი საქმეებით თამამად უსწორეთ მხარი ომში წასულ მეუღლეებს, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ, რომ კაცობრიობას აღარასოდეს ენახა ომის საშინელება.

დაე, დიდხანს გეცოცხლოთ ჩვენდა საამაყოდ და კარგი ქალობის ნათელ მაგალითად! დაე, უკვდავი იყოს ჭეშმარიტი ქართველი ქალის სახელი! დაე, სამარადისოდ იყოს მშვიდობა დედამიწაზე.

საქართველოს კომპარტიის
მახარაძის რაიკომის პირველი
მდივანი ოთარ თენეიშვილი.
მახარაძის რაისაბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე
მაყვალა ჟღენტი.

მართლაც, რა ლამაზია ეს ცხოვრება, თუ სიყვარულითაა ნაშენი!

მახარაძის რაიონის მშრომელებმა სიყვარულის საუკეთესო მაგალითი გვიჩვენეს, სიყვარულისა, რომელიც მხოლოდ ლამაზი სიტყვა როდია, იგი ლამაზი საქმეა და ბრწყინვალე პერსპექტივა, რომელსაც სწორი განჭვრეტა სჭირდება.

მარიკა ბაქრაძე

# სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად

## მახარაძელ მეჩაიეთა გამარჯვება

მივცეთ ქვეყანას 440.100 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთოლი! ასეთი გადაწყვეტილებით შეუდგნენ მე-11 ხუთწლედის მიჯნების დალაშქრვას მახარაძელი მეჩაიეები. ნედლეულის ხარისხისა და რაოდენობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩაის მრეწველობის მუშაკები. მახარაძელი მეჩაიეები ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის სურვილს ავლენდნენ ყოველდღიური თავდადებული შრომით, სიახლეთა ძიებით. უშრეტი იყო მათი შემოქმედებითი ძალა და ენერგია სიძნელეების დაძლევისა და გამარჯვების მიღწევისათვის ბრძოლაში. და აი, შედეგიც: სიტყვა საქმედ აქციეს — 16 ივნისს შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა, სამშობლოს ჩააბარეს 450.100 ტონა „მწვანე ოქრო".

ალმავალია ჩაისათვის ლაშქრობის ხუთწლიანი გზა: 1981 წელს მახარაძელებმა მოკრიფეს 97.318 ტონა ჩაის ფოთოლი, 1982 წელს 4867 ტონით, ხოლო 1983 წელს 105.224 ტონამდე გაიზარდა ეს მაჩვენებელი. 1984 წელი კი ახალი რეკორდის წელი იყო. რაიონის მეჩაიეებმა უკან მოიტოვეს ყველა მიჯნა და 109.026 ტონა ნედლეული ჩააბარეს სამშობლოს.

მიმდინარე ხუთწლედის ეს თითოეული წელი ბრწყინვალე ასოებით ჩაიწერა მახარაძის რაიონის მეჩაიეთა შრომითს მატიანეში. სამეურნეო მართვის ახალმა სისტემამ, აგროსამრეწველო გაერთიანებამ, რომელიც მეხუთე წელია მოქმედებს, კარგი კვალი დაატყო ჩაის ფოთლის წარმოების ზრდასა და ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას.

## შეჯიბრება კომპლექსურად

ეს ნოვატორული აზრი ჯერ კიდევ მე-11 ხუთწლედის დაწყებამდე დაიბადა რაიონში. აქ ჩაისახა და ფეხი აიდგა კომპლექსურმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავლის მიღებას. რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობა სათავეში ჩაუდგა შეჯიბრების ამ ახალი ფორმის ფართოდ დანერგვას. შეჯიბრების პრინციპია — პლანტაცია — ტრანსპორტი — ფაბრიკა! — ამ პრინციპით შეჯიბრებაში ჩაებნენ მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები, ამასთანავე, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კულტურისა და სხვა დარგების წარმომადგენლები.

ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა პლანტაციებში იწყება. ეს კომპლექსის პირველი ეტაპია. ნედლეულის პლანტაციიდან ფაბრიკამდე მიტანა კომპლექსის მეორე ეტაპია. ამჯერად მთელი პასუხისმგებლობა ტრანსპორტის მუშაკებს ეკისრებათ. მათ ფართოდ დანერგეს ნედლეულის უტაროდ გადაზიდვა.

ყველაფერი მეჩაიეთათვის, ყველაფერი მათი კეთილდღეობისათვის!—ასეთია ვაჭრობის, მედიცინის და კულტურის მუშაკთა დევიზი. რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა ივალდებულეს მეჩაიეებს პლანტაციებში, ნედლეულის დამზადების დროს არ მოაკლონ ცხელი კერძები, გამაგრილებელი წყლები, ნაყინი, სამრეწველო საქონელი. რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობამ შემოიღო დატარებითი ვაჭრობა, მუშაობს 13 საველე და 52 მუშათა სასადილო. პლანტაციებში ცხელი კერძებით მარაგდებიან მერიელი, ლაითურელი, ნასაკირალელი, ქ. მახარაძელი, ბოხვაურელი და დვაბზუელი მეჩაიეები.

## ხუთწლედის მოწინავენი

რაიონის მეჩაიეთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ძიმითის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ს. მუხაშავრია). მათ პირველებმა უპატაკეს სამშობლოს ხუთწლედის შესრულება. დიდი ხანია მე-12 ხუთწლედის ანგარიშით კრეფენ მწვანე ფოთოლს ლიხაურის, შემოქმედის, შრომის, დვაბზუს, ბოხვაურის, კონჭკათის, მერიის, ბაილეთის, ქ მახარაძის, მაკვანეთის კოლმეურნეობათა პლანტაციებში.

რაიონს ბევრი მოწინავე მეჩაიე და ნოვატორი ჰყავს. მახარაძელი მაყვალა თოიძის პატრიოტულმა თაოსნობამ — ორი პირადი ხუთწლიანი გეგმა ერთ ხუთწლედში! — საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა. ის ახლა მე-13 ხუთწლედის ანგარიშით შრომობს.

მრავალმა მეჩაიემ გადალახა 10-ტონიანი მიჯნა და 15-20 ტონა ფოთოლს კრეფს; საყოველთაოდ არის ცნობილი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კონჭკათელი მზია მალაზონია, რომელიც ერთ სეზონში 25 ტონა „მწვანე ოქროს" ამზადებს. ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ვეტერანი დიდოსტატების, სოციალისტური შრომის გმირების ტატიანა ჩხაიძის, ლოლა გოგოტიშვილის, დარეჯან ტაკიძის, საშა ქურიძის და სხვათა ტრადიციებზე აღიზარდნენ ახალი თაობის მეჩაიეები ვალიდა ჟღენტი, მავრა ნოდია, ნათელა ჩხაიძე, ქრისტინე სანაძე, ზაირა ტოგიტაური, ტატიანა გობრონიძე, ლატავრა სკამკოჩაიშვილი, თინა თევზაძე და სხვანი

თვალსაჩინოა მექანიზაციის როლი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ჩაისათვის ლაშქრობაში დიდი წვლილი შეაქვს ბევრ მექანიზატორს. სანაქებო შრომით სახელი გაითქვა ცნობილმა მექანიზატორმა, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ზური ურუშაძემ, რომელსაც მხარს უმშვენებს ძმა შახი ურუშაძე. სოციალისტურ შეჯიბრებაში მუდამ

ნაზი მჟავანაძე

ა. გოგიტაურის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული გამოდიან მექანიზატორები. ნარუჯელი სურენ ხროიანი, ლაითურელი ვლადიმერ სობინი, ნასაკირალელი შამილ შამოიანი, შემოქმედელი გოგონა, რაიონული საბჭოს დეპუტატი ნინო შუკაკიძე და მრავალი სხვა.

## ჩაის ფაბრიკა — შეჯიბრების მესამე ეტაპი

ნედლეული ფაბრიკაში — გრაფიკის დაცვით! ეს მოთხოვნა კანონად იქცა ჩაის მრეწველობისათვის. რაიონში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ჩაის მრეწველობის ტექნიკური დონე. ფაბრიკების სადღეღამისო წარმადობა 1400 ტონამდე აღწევს. მუშაობს 17 ჩაის ფაბრიკა, რომლებიც ყოველდღიურად 1300 — 1400 ტონამდე ნედლეულს ამზადებს.

ფაბრიკების წარმადობის ზრდისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის რეზერვების ძიებაში დაიბადა იდეა უშუალოდ პლანტაციებში აშენებულიყო ჩაის მიკროფაბრიკები. ამ იდეას მალე შეესხა ხორცი. ახლა მწყობრშია ხუთი მიკროფაბრიკა, რომლებმაც გაამართლა თავიანთი დანიშნულება — ქვეყანას აძლევს ასეულობით ტონა ხარისხიან პროდუქციას. მსგავსი პრინციპით რაიონის მრეწველობას ყოველწლიურად ემატება ახალი მიკრო-ფაბრიკები. წლეულს მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი ახალი — მელექედურის ჩაის ფაბრიკა, მშენებლობის პროცესშია ძიმითის და ლაითურის ჩაის ფაბრიკები, უკვე ორი წელია ამოქმედდა მახარაძის ჩაის გადამწონი და დამხარისხებელი ფაბრიკა. ჩაის მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების გაზრდის სამსახურშია ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის მანქანათმშენებელი ქარხანა.

## თაოსნობა სიძნელეებთან ბრძოლაში იბადება

დაბრკოლებებით დაიწყო რაიონის მეჩაიეთათვის წლევანდელი სეზონი. ათასი თავსატეხი და საზრუნავი გაუჩინა სტიქიამ და დიდთოვლიანობამ მშრომელებს, ჩამორჩა სამუშაოები, საჭირო იყო საგანგებო ღონისძიებათა გატარება, რომ დაკარგული დრო და სტიქიით მიყენებული ზარალი აენაზღაურებინათ.

ასეთ დროს გონივრული სიტყვა, წინადადება და ნოვატორული წამოწყება ძვირად ფასობს. ეს ნოვატორული აზრი და პატრიოტული იდეა კი რაიონის ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობაში, ნატანებში დაიბადა, კოლმეურნეობაში, რომელსაც საქვეყნოდ ცნობილი თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი წითლიძე თავკაცობს.

როგორ განვახორციელოთ პრაქტიკულად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებები, რა უნდა ვიღონოთ, რომ ავინაზღაუროთ სტიქიით მიყენებული ზარალი? ამაზე იფიქრეს ნატანებელმა მშრომელებმა და საამისოდ გზაც გამონახეს — ჩაისა და ერთწლიანი კულტურების საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებით მინიმუმამდე შეემცირებინათ სტიქიით გამოწვეული ზარალი, 500 კილოგრამით გაეზარდათ ჩაის ფოთლის საჰექტარო მოსავლიანობა, 6 ცენტნერით — სიმინდის წარმოება. ამ მოწოდებას რაიონის კოლექტივები მოწონებით შეხვდნენ და კონკრეტული ვალდებულება იკისრეს, წინა წელთან შედარებით 2—3 პროცენტით გაედიდებინათ ჩაის ფოთლის წარმოება.

## ექსპერიმენტი — უკეთესი ხარისხის სამსახურში

მე-11 ხუთწლედის მეხუთე წელს რაიონის მეჩაიეებმა, სამშობლოს უნდა მისცენ 110.000 ტონა ჩაის ფოთოლი და მკვეთრად უნდა აამაღლონ ნედლეულის ხარისხი.

სიძნელეებს როდი უშინდებიან მეჩაიეები. მათ მისი დაძლევის კარგი გამოცდილება და ტრადიცია აქვთ. კრეფის ტემპის ზრდის ტენდენცია ყოველდღიურად იგრძნობა, რაოდენობისათვის ზრუნვასთან ერთად, ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური და პროგრესული სისტემა. ნარუჯის ექსპერიმენტმა — ნედლეულში ხარისხის განსაზღვრის ახალმა წესმა რაიონში ფართო გავრცელება ჰპოვა, იზრდება ფოთოლში ნაზი ფრაქციის წილი და ამდენად დიდდება მეჩაიეთა შრომის ანაზღაურებაც.

ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებში წინა პლანზე წამოსწიეს აგროღონისძიებათა კომპლექსი. მოსავლიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებაში თავიანთ სიტყვას ამბობენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთპარტნიორობით პრაქტიკაში ინერგება სიახლეები, საუკეთესო ხარისხის ნედლეულს იძლევა ჩაის ახალი ჯიში „კოლხიდა“, ყველას მოსწონს და ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა ანასეულის ინსტიტუტში შექმნილმა ხელის ელექტროფიცირებულმა აპარატმა „ანასეულ — 2“-მა.

მახარაძელ მეჩაიეთა მიღწევები და გამარჯვებები ბევრჯერ აღნიშნულა საკავშირო გარდამავალი დროშებით, რაიონმა მეთერთმეტედ მოიპოვა ეს დიდი ჯილდო.

მახარაძელებს მიღწეული ზღვრად არასდროს ჩაუთვლიათ. წლეულს უფრო დიდი მიჯნაა გადასალახავი, — უნდა დამზადდეს 110.000 ტონა ხარისხიანი ფოთოლი, საიდანაც 98.123 ტონა მე-12 ხუთწლედის ანგარიშით იქნება მოკრეფილი.

დიდი ფორუმისათვის, პარტიის 27-ე ყრილობისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო მატულობს შემოქმედებითი შრომის რიტმი, ეფექტური ხდება კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ წლეულს, წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო იმატოს მაღალხარისხიანმა ქართულმა ჩაიმ.

ა. ბურბენიძე,
მახარაძის რაიონული გაზეთის
„ლენინის დროშის“ რედაქტორი.

● მზია მალაზონია



● ზაირა გოგიტაური



50
1935 1985

# პუშკინის ინსტიტუტი ორმოცდაათი წლისაა



ნათელა ვასაძე,
თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან პედაგოგიურ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს 50 წელი შეუსრულდა.

1947 წლიდან ინსტიტუტთან არსებობს ასპირანტურა. 1957 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ნება დაერთო, დისერტაციების დაცვის საფუძველზე, კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა. დღეს აქ მასწავლებლის საპატიო პროფესიას 6. 000-მდე ახალგაზრდა ეუფლება. ამჟამად ინსტიტუტში რვა ფაკულტეტია. არის მოსამზადებელი განყოფილება, მოსამზადებელი კურსები.

მასწავლებელთა 64 პროცენტი დოქტორები და მეცნიერებათა კანდიდატები არიან, მათ შორის ცნობილი მეცნიერები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკები, მრავალი კონკურსის ლაურეატები და დიპლომანტები.

1972 წელს საქართველოში პირველად ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა ქალი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ვასაძე.

50 წლის მანძილზე ინსტიტუტმა მოამზადა 46.000-მდე მაღალკვალიფიციური პედაგოგი ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის და 6.000-მდე ბიბლიოთეკარი, 2.500-მდე სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელ-მეთოდისტი.

1984 წელს ინსტიტუტი მერვედ დაჯილდოვდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ინსტიტუტმა არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე დედა სამშობლოს ბევრი სახელმოხვეჭილი მეცნიერი, დამსახურებული პედაგოგი, კულტურის მოღვაწე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკი აღუზარდა.

„პუშკინელებმა" ორგანიზებული ზეიმით აღნიშნეს თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის იუბილე.

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლის მუზეუმის, კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის მუზეუმის, გამოთვლითი ტექნიკისა და სასწავლო ტელევიზიის კომპლექსის, ახალგაზრდა დედის კაბინეტის გახსნა. მრავალი სტუმარი დიდად დაინტერესა პროფესორთა სამეცნიერო შრომების გამოფენამ, სტუდენტ მხატვართა ვერნისაჟმა, ინსტიტუტის ხელმარჯვე თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოფენამ.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა.

ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი მიიღო, ნაწილს საპატიო წოდებები მიენიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაობათა ესტაფეტა

ბევრი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი დედა-შვილი, მამა-შვილი, საგვარეულო დინასტიები მისაბაძად შრომობენ ერთმანეთის გვერდიგვერდ, მემკვიდრეობით რომ გადმოეცათ თაობათა სასახელო საქმეების ესტაფეტა.

ერთერთი იმათგანია წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიის, სკკპ 26-ე ყრილობის დელეგატის, კომპარტიის წულუკიძის რაიკომის წევრისა და რაისაბჭოს აღმასკომის დეპუტატის გულიზარ დაბრუნდაშვილისა და მისი ქალიშვილის, მესამე საშუალო სკოლის მერვე კლასის ფრიადოსანი მოსწავლის, ქეთევან უგრეხელიძის შრომითი მაგალითი.

გულიზარის შრომით კალენდარზე კარგახანია აისახა 1987 წელი, — მასზე დაკისრებული გეგმა-ვალდებულებების შესრულების თარიღი. სამი შვილის დედა, სამაგალითო ოჯახის დიასახლისობას კარგად უხამებს შრომით მოპოვებულ კაიქალობას; მუყაითი გარჯის წყალობით გულიზარმა 26-ე ყრილობიდან დღემდე 55 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს, დაამზადა 310 კგ აბრეშუმის პარკი, თავისი წვლილი შეიტანა სასურსათო პროგრამის შესრულებაშიც — სახელმწიფოს მიჰყიდა 4100 კგ ხორცი, 415 კგ დაფნა, 7.500 კგ ხილი, 5 ტონა ყურძენი.

ივლისის შუა რიცხვები იყო, დედა-შვილს ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ჩაის პლანტაციაში ეწვია და მოისმინა მათი ნაამბობი.

ქეთევანს გაპიროვნებული 0,1 ჰექტრიდან 2000 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი, პარალელურად შრომით სემესტრს წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალებსაგრეხ ფაბრიკაში ატარებდა, ძაფის გრეხვის რთულ სპეციალობას ეუფლებოდა. გულახდილად, მთელი გულწრფელობით თქვა გოგონამ, რომ დედის თბილმა და მოამაგე გულმა მას ყველაფერი მისცა, ამიტომაა, რომ თვალი ჩაის ბუჩქთან მოფუსფუსე დედისკენ გაურბის, მის გვერდით ყოფნა ყველაფერს ურჩევნია. უთუოდ დედის დამსახურებაა, რომ სწავლაში ფრიადოსანი შრომაშიც მოწინავეა.

სახელოვანი დედის კვალში დგას გოგონა და მის გზას მისდევს...

გულიზარი მეორე ბრიგადის (კოლმეურნეობაში შვიდი ბრიგადაა) პარტიული კომიტეტის მდივანიც არის. ბრიგადის წევრებს აქტუალურ თემებზე ესაუბრება ხოლმე. ასე იყო მაშინაც, ჩვენს დედაქალაქში გამართული დიდი ფორუმიდან — სკკპ 26-ე ყრილობიდან რომ დაბრუნდა წულუკიძეში. გულიზარს უყვარს თანამოსაქმეებთან სჯაბაასი შრომის სიკეთეზე, საიჯარო ბრიგადების ჩამოყალიბების უპირატესობაზე, მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმების ყოფა-ცხოვრებაში დანერგვაზე, რეზერვების ახლებურად ამოქმედებაზე. ყველა სიკეთესთან ერთად იგი საუკეთესო აგიტატორიც გახლავთ.

გვიმრავლოს და გვიდღეგრძელოს ასეთი მისაბაძი ოჯახები, გულიზარისნაირი სამაგალითო დედები, მომავალი თაობების დამრიგებელი და რიგიანი წინამძღოლნი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე გთავაზობთ დედა-შვილის გულიზარ დაბრუნდაშვილისა და ქეთევან უგრეხელიძის დავით იაკობაშვილისეულ ფერად სლაიდებს.

ნ. არჩვაძე

## 4 აგვისტო რკინიგზელის დღეა




დ. იაკობაშვილის ფოტო

ამიერკავკასიის თბილისის სავაგონო უბნის სამგზავრო ვაგონის გამცილებელმა, პარტიის წევრობის კანდიდატმა სვეტლანა პავლენკომ 1981 წელს წარმატებით დაამთავრა რკინიგზის პროფესიული ტექნიკუმი, სწავლობს როსტოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ვაგონმშენებლობის და სავაგონო მეურნეობის სპეციალობით, არის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ექსპერიმენტის მიზნით შეიქმნა მოსკოვ-თბილისის მიმართულების ვაგონ-კლუბი, რომლის გამცილებლადაც სვეტლანა პავლენკო გადაიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პოეტური საღამოები

იგი ჩვენს შორის ცხოვრობს, ჩვენნაირივე განცდებით, ჩვენნაირივე საზრუნავით, არის მეუღლე, დედა, ბებია... ოდნავ ზეაწეული თავით და ღიმილით გვხვდება ხოლმე.

დავცქერით მისი პოეზიის საღამოსათვის დაბეჭდილ მოსაწვევ ბარათს, ულამაზესი ახალგაზრდა გოგონას სახე რომ ახატია. ალბათ რამდენი სითბო და სინაზე შეიტანა ამ სურათმა იმათ ოჯახებსა და გულებში, ვინც საღამოზე იყო მიწვეული, შეიტანა სინათლე და მოგონებაც ოცდაათიოდე წლის წინანდელი.

არ გავიწყდება მისი პირველი დიდი როლი შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში", მარადიული სევდისა და ტკივილის, მარადიული ერთგულების ნაზი სურნელით რომ ფეთქავდა. ეს იყო სიმართლე, რომელიც იმ წუთში ახალგაზრდა მსახიობის გულში ნამდვილ, გარდასახულ ტკივილებს აღძრავდა. ჯულიეტა უსათუოდ უნდა დაღუპულიყო, ამ მსხვერპლით ადამიანებს უნდა ეგრძნოთ თავიანთი შეცდომა, დანაშაული.

წლებს ოსტატობა და გამოცდილება მოაქვს, მაგრამ მთავარი ის სულია, რომელიც თითონ პოულობს სათანადო ფორმას და გამომსახველობას. ეს კარგად იგრძნობა თვით მისი გმირების სურათებითაც კი... მაგალითისათვის ოტო ფრანკის — პატარა ანას მამის წერილიც კმარა: „...მე მომიტანეს ჩინებული ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", რომელშიც იყო თქვენი რამდენიმე ფოტოსურათი, ანას როლში გადაღებული. ასე მივიღე თქვენი გარეგნობისა და პიროვნების უშუალო შთაბეჭდილება და დიდად განვიცადე ყოველივე ეს... წარმოდგენილი მაქვს, როგორ ზემოქმედებას ახდენს თქვენი ხელოვნება მაყურებელზე, თეატრში, სადაც გაცილებით ძლიერია ადამიანებთან კავშირი, სადაც არ წყდება მქუხარე ტაში. თქვენი დიდებული თამაშით თქვენ წვლილი შეიტანეთ იმაში, რომ აღსრულებულიყო ანას სურვილი — სიკვდილის შემდეგ განეგრძო ცხოვრება ადამიანთა გულებში. ჩემი აზრით, ანას დღიურებმა მსოფლიოში ასეთი დიდი გამოძახილი იმიტომ ჰპოვა, რომ, თუმცა კი ბევრი იტანჯა, მაინც არ წერს სიძულვილით აღსავსე და ადამიანთა სიკეთე სწამს",

და ეს სიკეთეა ის მთავარი, თვით მედეა ჯაფარიძის ხელოვნებასაც რომ აძლევს ძალას... გავიხსენოთ მისი ელიზა, ბერნარდ შოუს „პიგმალიონში". ქუჩის უბრალო, მდაბიო გოგონადან იგი ჩვენს თვალწინ მშვენიერ ქალბატონად იქცა... მაგრამ მცირეოდენი წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში, მასში ისევ იფეთქებდა ხოლმე პირველყოფილი ინსტიქტისმიერი უშუალობა... ანდა კაროჟნა, „მშვენიერზე მშვენიერი" — როგორც წერს გალაკტიონი... რა ტკივილით ტოვებდა მაყურებელი თეატრს, როცა კაროჟნას უმწეო, განწირულ სახეს ეთხოვებოდა. რა დაუვიწყარია ყოველივე ეს.

ანდა პოეზია?.. პოეზიის საღამოები?..

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ საღამომ მოსკოვში... მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი საღამოზე წარმოთქმული სიტყვებიდან, გაზეთებიდან, წერილებიდან.

„თქვენ დღეს უჩვეულო სილამაზის საღამო გვაჩუქეთ. უჩვეულო სიწმინდისა და ამაღლებული რომანტიზმის საღამო. არ ვიცი, რას განიცდიან ახალგაზრდები, მაგრამ ჩვენ, ჭაღაროსნები ისე განწმენდილებად, ისე კარგებად, კეთილებად და ახალგაზრდებად ვგრძნობთ თავს... და ეს ყველაფერი თქვენი მიზეზით არის. მე ვხარობდი დღეს, როცა ვხედავდი ახალგაზრდა, გასაოცარ მედეას. მე მინდა გითხრათ მადლობა, ამ სილამაზისათვის, ამ სინათლისათვის... თქვენ დღეს ისევ და ისევ გვაგრძნობინეთ, რომ არსებობს ქვეყნად ეს სილამაზე, ნამდვილი სილამაზე, მისი ჭეშმარიტი გაგებით. მდაბლად ვხრით თავს თქვენს წინაშე. იყავით მუდამ ასეთი.

ელ. გოგოლევა

„... თქვენ ლაპარაკობდით კეთილ ადამიანებზე, რომლებიც წავიდნენ, ლაპარაკობდით ისე კეთილად, ისე უბრალოდ, ისე... არ ვიცი, სხვაგვარად ამას კიდევ რა ჰქვია, მაგრამ გასაოცარია. გმადლობთ. სასწაული იყო, რაც თქვენ ამ საღამოს გააკეთეთ.

ს. ობრაზცოვი



ეს არც მხატვრული კითხვის საღამო იყო, არც მოგონებებისა, არც შემოქმედებითი... ეს იყო მშვენიერი, ღრმა, გულწრფელი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა














ახალგაზრდობისა და
სტუდენტთა
მოსკოვის
XII მსოფლიო
ფესტივალი







ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთილშობილესი სულის აღსარება ადამიანისა, რომელსაც უყვარს ყველა, — თავისი სამშობლო, პოეზია და სიკეთე.

მ. ულიანოვი.

...თქვენს ლამაზ საღამოზე არ სუფევდა პატივმოყვარეობის პატარა ნამცეციც კი. თქვენ იცოდით იმისი ფასი, რასაც კითხულობდით. მსახიობებისთვის ეს თითქმის მიუღწეველია. ჭკვიანი ბევრია, მაგრამ მათ რაღაც უშლით ხელს, რაღაც ლალატობთ... თქვენ ღირსეულად ჩამოხვედით მოსკოვში. გვიჩვენეთ არა განცდები, არამედ გადაუჭარბებელი ღვთიური ჰარმონია, და გაიმარჯვეთ.

...ბედნიერება და კეთილი სიმშვიდე თქვენს მშვენიერ დამატყვევებელ სულს".

ი. კატაევა

ასეთია ეს წერილები... აქაც, თბილისშიც გვინახავს მისი პოეზიის საღამოები... ის კითხულობს ახმატოვას და ცვეტაევას, ბლოკსა და პასტერნაკს... ქართველ პოეტებს: გალაკტიონს, ლეონიძეს, ტიციანს, პაოლოს... და მუდამ მოაქვს ნამდვილი, კეთილი, გულწრფელი სიხარული თავისი პოეტური არსებობით, ხელოვნებით, პოეზიით, პოეზიის საღამოებით...

აი, პასტერნაკის წერილი — უფრო ზუსტად, წარწერა წიგნზე:

„ძვირფას შემოქმედებითს წყვილს, მედეა ჯაფარიძესა და რეზო თაბუკაშვილს ერთად გატარებული ხალისიანი და შინაარსიანი დღეების მოსაგონრად.

ხელოვნებაში ისე უნდა გადაეშვა, როგორც ზღვაში. უნდა ბოლომდე განიძარცვო და დაიხარჯო. ჩაყვინთო და კვლავ გამოსცურო. მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ ნამდვილ სიხარულს. თქვენ ორივენი ასეთები ხართ, მედეა! მუდამ სიყვარულით მოგიგონებთ".

ვერიკო:

„მედეა ჯაფარიძის ჯულიეტამ არა მარტო შექსპირის ფურცლებიდან გადმოაბიჯა, არამედ ძველი იტალიური ტილოებიდანაც; იგი თამაშობს პოეტურ დრამას, მის ჯულიეტაში გაღვიძებას იწყებს ქალი, მე ველი ამ ქალის გამოჩენას, მაგრამ მსახიობი ბოლომდე ზღვარს არასოდეს არ სცდება".

„თქვენ ბრძანდებით ქართული თეატრის მშვენება, ბრწყინვალე ხელოვანი და ადამიანი...

კონსტანტინე გამსახურდია

„ო, ცოტაოდენად მაინც რომ შეიძლებოდეს ლექსებში თქვენი დიდებული თამაშის, თქვენი ნიჭიერების, თქვენი სილამაზის ასახვა!..

ანდრეი ვოზნესენსკი

და ჩვენც ვბრუნდებით მისი პოეტური საღამოებიდან სიმშვიდის, სილამაზისა და სიკეთის გრძნობით აღსავსენი.

თ. სარჯველაძე

# ახალი ლექსები

## ნანი ჯაში

* * *

ახლა ოდის ქვეშ, ჯორკოზე მჯდარი,  
ღვინიას წველის ალბათ ბებია.  
ფოთლებში ნაზობს გულაბი მსხალი,  
ქათმები უკვე ხეზე სხდებიან.  
ქოთნიდან ყველი ამოაქვს მსუყე,  
წურუქას უსხამს ჯამში ბროლიას,  
კერიის ცეცხლიც ჩაღველფა უკვე...  
და მკვდარი თუა სულ არ მგონია.

## ანა კალანდაძეს

სიომ ტყიდან საქანელა წამოიღო თანა,  
ხაპერები მწვანე ქოლგით ღობის ძირში წვანან,  
მზის სხივებმა ბროწეულებს გულში ჩასცეს დანა,  
აკაციის სპანი გზაზე მორიდებით დგანან.  
გვიმრა სუროს ეკითხება — რა ხდებაო განა,  
ასე რატომ გაიწითლა მარცვლის ლოყა წყავმა,  
რატომ იკრავს სუფსა წელზე წვრილი ბოგის ქამარს  
და საერთოდ, სამზადისი შაშვმა ვისთვის ბრძანა?  
— ჩუმად იყავ, ეძებს ქალი ერთი ლექსის წამალს,  
გურიაში მობრძანდება დედოფალი ანა.

* * *

მიწას ედება ჭორფლად  
ჟუჟუნა წვიმის მადლი,  
გამწვანებულა ყოფა,  
ამღერებულა მარტი.  
ცვივა, იბნევა ზეცის  
ძაფგაწყვეტილი მძივი,  
ურცხვად ჩამიძვრა მკერდში  
გრილი თითები წვიმის.  
მე მისი მონა ვარ და  
ხის სველ ფოთლებში ვტკბები,  
ჟუჟუნა წვიმის გარდა  
ვინ დამიკოცნა თმები?  
მაგნოლიები ფატად  
თავზე დამფინა თითქოს...  
ასწით ვნებების ფარდა  
ჩემგან რაღაცას ითხოვს,  
მეძახის ტრფობის მახე —  
ხასხასა, მწვანე მოლი...  
გამიშვით, უნდა გავხდე  
ჟუჟუნა წვიმის ცოლი.

* * *

როგორ არ ვნახო, მეძახის  
გულსმიბნეული ფერდობს:  
ჩემი გზა! ოდა, ვენახი,  
ჩემი უძაღლო ეზო.  
არ ვიცი, თავს რით ვიმართლებ,  
სიტყვის მონახვა მიჭირს...  
მეძახის მთების სიმაღლე,  
ქერათმიანი ბიჭიც.



„თივის ზვინები", სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ნინო ჯანგულაშვილის ნამუშევარი

ლი იყო. ერთი ვაჟიც ჰყავდა. უმცროსი კი დასაოჯახებელი დამე-ღუპა. რაშიდმაც ვერ გაუძლო მათს დარდს.

— შვილიშვილი გყავთ?

— მყავს, მყავს. ეს ქალი მისი მეუღლეა — მიგვითითა ახალგა-ზრდა ქალზე. — სახსოვრად ესენილა დამრჩა.

საუბარმა კარგა ხანს გასტანა. სუფრაზე მოიტანეს ჩაი, ტკბილ-ეული. თამარმა გასული წლები გაიხსენა.

— ძალიან ჭირდა მაშინ. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებ-ის შემდეგ ბაქოში ჩამოვედი სამუშაოდ. ბაქოელი „ყოჩების“ ში-შით ქუჩაში გასვლას ვერ ვბედავდი. უფრო კი უჩადროდ და სა-ხეზე აუფარებლად იყო ძნელი გარეთ გასვლა. რაშიდ ბეგი რომ არა, ალბათ ბაქოში ვერ ვიმუშავებდი. დილაობით მასთან ერთად მივდიოდი სამსახურში და საღამოთიც სახლამდე მაცილებდა. სასეირნოდაც სამნი ერთად გავდიოდით — მელექ ხანუმი, რაშიდ ბეგი და მე.

მელექი მის ნათქვამს ადასტურებდა.

— ამ ოჯახის პატივისცემა არასდროს დამავიწყდება. ასე მეგო-ნა თბილისში, ჩემს სახლში ვიყავი. რაშიდ ბეგის და მელექ ხანუ-მის იმედით მოსვენებით და არხეინად ვცხოვრობდი. რაშიდ ბეგი ძალიან კარგი ქირურგი იყო. მასთან სხვადასხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ ავადმყოფები.

მელექ ხანუმმაც გაიხსენა ერთად გატარებული წლები. ბოლოს ვკითხე: — ქირურგად უკანასკნელ წლამდე მუშაობდა რაშიდ ბე-გი?

— არა. უკანასკნელ წელს სამედიცინო ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა.

შუაღამის მოახლოება ვერც გავიგეთ. ამასობაში რაშიდ ბეგის შვილიშვილიც მოვიდა. სახელოვანი მენავთობე ინჟინერი.

— ესე იგი, თქვენ არ გაჰყევით თქვენი პაპის პროფესიას?

— არა, პაპაჩემის პროფესიისა მამაჩემი ყოფილა. ის ფრონტზე სამხედრო ქირურგი იყო. სწორედ ოპერაციის დროს დაღუპულა.

მძიმე შთაბეჭდილებით დავბრუნდით ამ ოჯახიდან.

მეორე დღეს თამარმა მერკუროვის ქუჩაზე წაყვანა მთხოვა. არ ვიცოდი, რა მექნა, ნეტავ რომელი ქუჩა იყო მერკუროვისა? ახლო-ბელ მეგობარს ვკითხე, არც იმან იცოდა. რედაქციას, სადაც მე ვმუ-შაობდი, ღამ-ღამობით მოხუცი კაცი სდარაჯობდა. ის დამეხმარა. შევიტყვე, რომ ძველი მერკუროვის ქუჩა ახლა შაუმიანის ქუჩაა. წავიყვანე. ლენინის მუზეუმთან მდებარე ბაღთან კარგა ხანს იყურა აქეთ-იქით. ბოლოს მითხრა, ეს არ არის მერკუროვის ქუჩა, შეცდო-მით უთქვამთო. მაგრამ მე არაფრით არ მეგონა, რომ მოხუცი დარა-ჯი შეცდებოდა, ის ხომ ბავშვობიდან ამ უბანში იყო გაზრდილი. მგონი მივაგენით კვალს. ჩვენ თეატრის შენობისაკენ წავედით ერთი კვარტალი იყო დარჩენილი, რომ თამარი ერთ-ერთი სახლის კართან შეჩერდა.

— მგონი აქ სადღაც უნდა იყოს, — თქვა და კარები გამოხსნა. კიბის დანახვისას დაუმატა — სწორედ ეს არის მაგ კიბით ბევ-რჯერ ავსულ-ჩამოვსულვარ.

— აქ ვინ ცხოვრობს? — ვკითხე მე.

— არ ვიციო, — მიპასუხა. გაკვირვებით შევხედე. როცა ჩემი გაოცებული სახე დაინახა, დაუმატა: მართლა არ ვიცი მათი სახელები, აღარ მახსოვს. მხოლოდ ერთის სახელი მაგონდება— სიტყვა „«ПОМЯТЬ» აზერბაიჯანულად როგორ იქნება?

— ხათირა.

— დიახ, დიახ, ხათირა.

— ვინ არის ხათირა?

— იმ დროს პატარა გოგონას ერქვა. იმისი დედა მშობიარობას გადაჰყვა. მასაც ბავშვი უდედოდ დარჩა. თავად სისხლის გადასხმა ესაჭიროებოდა. ჩემივე სისხლი გადავუსხი. ორი თვე დავდიოდი იმ ბავშვთან.

შიგნით შევედით. თამარის თქმით, იმ დროს ისინი მეორე სა-რთულზე ცხოვრობდნენ. დავაკაკუნეთ. კარი არავინ გაგვიღო. ჩვენც გადავწყვიტეთ კიდევ ხელმეორედ მოვსულიყავით.

მეორე საღამოს შაუმიანის ქუჩაზე გვინდოდა წასვლა, რომ ზარმა დარეკა. გემოვნებით ჩაცმულმა ქალმა თამარი იკითხა. შინ შემოვიპატიჟე. მან დიდი სიყვარულით მოიკითხა თამარი.

— ქალბატონო თამარ, როგორ შეიძლება, ბაქოში ჩამოსულხართ და ჩვენ არაფერს გვატყობინებთ, კიდევ კარგი ნატამ დამირეკა და თქვენი მისამართი მითხრა.

შემდეგ უცნობმა თავისი თავი წარმოგვიდგინა. შევიტყვეთ, რომ ის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი გინეკოლოგი გა-დიმოვა ყოფილა. გადიმოვამ თამარის შინ წაყვანა მოინდომა. ისიც გვითხრა ინსტიტუტის თანამშრომლებს ძალიან სურთ სტუმართან შეხვედრაო. თამარი მეორე დღისთვის მისვლას შეჰპირდა. უკვე გვია-ნი იყო, შაუმიანის ქუჩაზე წასვლას ვერ მოვასწრებდით. დილით გადი-მოვამ დათქმულ დროისთვის მანქანა გამოგზავნა. თამარმა მეც თან წამიყვანა. მანქანა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინ რომ შეჩერდა, დავინახეთ, რომ გადიმოვა რამდენიმე ქალთან ერთად ჩვენსკენ მოდიოდა. ვესტიბულში შევედით, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დიდი განცხადება და ჩვენი სტუმრის სურათი იყო გაკ-რული.

განცხადება რომ წავიკითხე, თვალს არ დავუჯერე, თურმე ეს ქალი, რომელმაც თავისი თავი უბრალო გინეკოლოგად წარმოგვიდ-გინა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა კავშირის სამე-დიცინო აკადემიის აკადემიკოსი ყოფილა.

შეხვედრა ძალიან გულთბილი იყო. გამოცილებისას გადიმო-ვამ ჩვენ ორივენი ოჯახში მიგვიპატიჟა:

— ქართულ სუფრას გაგიწყობთ, ნუ იფიქრებთ, რომ ვერ შევძ-ლებ.

მან ისე დაჯერებით თქვა, რომ რატომღაც ვიფიქრე, ალბათ დედა ან მამა ქართველი ჰყავს მეთქი.

გზაში თამარს ვუსაყვედურე, რატომ დამიმალეთ თქვენი თანამ-დებობა-მეთქი. გაეღიმა.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი თავისი ადამიანობით უნდა გამოირჩეს. დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

ჩვენ გადავწყვიტეთ გადიმოვასთან წასვლამდე შაუმიანის ქუჩაზე გაგვევლო. ასეც მოვიქეცით. საღამოს ტაქსით შაუმიანის ქუჩას გა-ვუყევით, ნაცნობი სახლის მეორე სართულზე ავედით. კართან მია-ხლოებისას შიგნიდან ხმაური მოისმა. თამარმა სიხარულით წა-მოიძახა — კიდევ კარგი, შინ არიან, ახლავე შევიტყობთ ყველაფე-რსო.

ზარის ღილაკს ხელი დავაჭირე. კარი პატარა გოგონამ გამიღო, თორმეტი-ცამეტი წლისა თუ იქნებოდა. ვუთხარით, ვინმე უფროს ადამიანს დაუძახეო. — დედა, შენ გეძახიან.

გოგონას არც კი ჰქონდა სიტყვა დამთავრებული, რომ პროფე-სორი გადიმოვა კართან გამოჩნდა. ჩვენს დანახვაზე გაკვირვებულ-მა წამოიძახა: — ქალბატონო თამარ, ასე რატომ შეწუხებულხართ თქვენს წამოსაყვანად მანქანა უნდა გამომეგზავნა...

სიმართლე გითხრათ, თამარიც და მეც დაბნეულები ვიდექით.

— იცით, ჩვენ ორი საათის შემდეგ ვაპირებდით თქვენთან მოს-ვლას. ამ სახლის ძველ მობინადრე ერთ-ერთ ოჯახს დავეძებთ. სიმართლე გითხრათ, გვარი აღარ მახსოვს. ბავშვის სახელი მახ-სოვს — ხათირა ერქვა.

— სწორად მოსულხართ. ხათირა მე ვარ.

თქვა ეს და უცბად დადუმდა. თვალები დაებურა.

— მოიცათ, მოიცათ, ქართული სისხლი, ნამდვილად თქვენი სისხლია, ქალბატონო თამარ!

ამის მეტი არცერთს არაფერი უთქვამს. კარებშივე ჩაეკვრნენ ერთმანეთს. მღელვარებისაგან გული ყელში მომებჯინა, თვალი ამიცრემლდა.

როდის-როდის პირველად გადიმოვა მოეგო გონს. — აქ რად გავჩე-რებულვართ, შევიდეთ შიგნით.

ბინაში შესვლისას დავინახეთ, სტუმრების დასახვედრად საგულ-დაგულოდ ემზადებოდნენ.

აზერბაიჯანულიდან თარგმნეს:
 დილარ ალიევამ და ფატმა ალიევამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაღლება



ქეთო ლანდია

ხელოვნების მუშაკთა სახლში პოეზიის მოყვარულები შეკრებილიყვნენ. მხატვრული კითხვის ოსტატები ქეთო ლანდია, მერი მიქელაძე და ლევან ყაველაშვილი ლადო ასათიანის ლექსებს კითხულობდნენ.

ქეთო ლანდია იდგა სცენის სიღრმეში და დიდი შთაგონებით, ხავერდოვანი ხმით პოეტის უკვდავ პოეზიას ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა.

ცოტა კიდევ და იელვებს კრწანისი,
და მეტეხის ეკლესიის თავანი,
სადაც წმინდა მაცხოვარის ხატის წინ
ფეხშიშველი ლოცულობდა თამარი...

ლადოს ლექსს უზადო მომხიბლაობით გადმოსცემდა ოსტატი: „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზეცამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ", მღეროდა პოეტის სტრიქონები, მღეროდა ხელოვანის გული და დარბაზში ქუხდა მადლიერების ტაში.

ქეთო ლანდიას შემოქმედებითი გზა ასე დაიწყო: პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. მშენებელი ინჟინრის პროფესიას დაეუფლა, გული კი ხელოვნებისაკენ ეზიდებოდა. ბავშვობიდანვე იტაცებდა მხატვრული კითხვა. ერთხელ, უშანგი ჩხეიძეს მოუსმინა და დაკარგა მოსვენება. ჯერ კიდევ ტექნიკუმის მოსწავლე იყო, როცა დეკლამაციის ხალასი ნიჭი შენიშნეს. გორკის „სიმღერა შევარდენზე" დიდი ემოციით წაიკითხა. პედაგოგებმა ნიჭიერი მოსწავლე მხატვრული კითხვის ოსტატად აღიარეს.

დიდი ქართველი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე პეტრე მირიანაშვილი ბავშვებს ფანტაზიას ულვიძებდა, მხატვრული კითხვა მათი უსაყვარლესი ჩვევა გახდა.

ქეთო მუშა ახალგაზრდობის თეატრის სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. მხატვრულ მეტყველებას აქ მას გამოჩენილი პედაგოგი ნიკო შიუკაშვილი ასწავლიდა. მსახიობის მეტყველების დაოსტატებისათვის მზრუნველმა პედაგოგმა ბევრი იმუშავა ქეთოსთან, შემდეგ კი შემოქმედებითი გზა დაულოცა. საოცრად მოსწონდა ლექსის ქეთოსეული აღქმა.

საქართველოს რადიოკომიტეტი მაშინ კიროვის ქუჩაზე იმყოფებოდა, სამი პატარა სტუდია მუშაობდა. ერთი მათგანი ხალიჩით დაეფარათ, ცდილობდნენ ხმის დამჭერი გარემო შეექმნათ.

აბა სად იყო ტელევიზორი. ქვეყნის ახალ ამბებს მხოლოდ რეპროდუქტორებით იგებდნენ. დიქტორების კონკურსი გამოცხადდა. მეგობრებმა ქეთოს კონკურსში მონაწილეობის მიღება ურჩიეს. გადაწყვიტა და მოკრძალებით მივიდა რადიოკომიტეტში. ჟიურის შემადგენლობაში ცნობილი დიქტორები ალექსანდრე ცერცვაძე, ვახტანგ ჯაფარიძე და ვახტანგ ძამაშვილი იყვნენ. ქეთო წარსდგა მათ წინაშე და ახალგაზრდა შემსრულებელი მოიწონეს, მიიღეს. ქეთო სიხარულით ცას ეწია, აუსრულდა ფარული ნატვრა, მიზანი და აი, იმ დღიდან დაიწყო მისი ახალი ცხოვრება.

ეს იყო 1932 წელი.

ქეთო ლანდია რადიომაუწყებლობის ცოცხალი მატიანეა. მან ჭეშმარიტი შემოქმედის დიდი და საინტერესო გზა განვლო. რამდენი დაუვიწყარი თარიღია მის ცხოვრებაში. იმხანად მწერლები, მსახიობები ხმისგადამცემ სტუდიაში პირდაპირ მიკროფონთან გამოდიოდნენ. გოგონა გაფაციცებით უცქერდა ეჭვით შეპყრობილ ოტელოს. მის წინ ხან ოიდიპოსი იდგა, ხან მეფე ლირი და, ისიც, დარბაზის ერთ კუთხეში მიყუჟული, გატაცებით უსმენდა ბუმბერაზ მსახიობებს. ალექსანდრე იმედაშვილი ტრაგედიებიდან მონოლოგებს კითხულობდა. ახალბედა დიქტორი გაოცებული იყო დიდი მსახიობის საოცარი გარდასახვით.

სესილია თაყაიშვილი რადიოკომიტეტის ხშირი სტუმარი გახლდათ. ერთმანეთს ცვლიდნენ სახელგანთქმული თამარ ჭავჭავაძე და პიერ კობახიძე. ისინი დიდი მხატვრულობით გადმოსცემდნენ საბჭოთა პოეტების ლექსებს. უსმენდა ქეთო და გემოვნება თანდათან ეხვეწებოდა, განვითარების ჰორიზონტი უფართოვდებოდა. მაყურებელს ახლაც სიამოვნებას ჰგვრის ნიკო ლორთქიფანიძის „ბებრების" რადიო ჩანაწერები. სესილია თაყაიშვილი და ალექსანდრე ჟორჟოლიანი. ავტორის ტექსტს ჩვეული ოსტატობით კითხულობდა ქეთო ლანდია. „ბებრები" ჩვენი თეატრალური ცხოვრების ოქროს ფონდში დარჩა.

ომის წლებში ახალგაზრდა ქეთო ლანდია დღედაღამეს ასწორებდა, განუსაზღვრელად შრომობდა: იდგა მიკროფონთან — იმედის გამარჯვების, რწმენის მეტყველი...

კითხულობდა დაუსრულებლად, არ საზღვრავდა დროს, საათს. ვაჟკაცები სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ და ზურგში დარჩენილებს გამხნევება სჭირდებოდათ.

ხალხმა აიტაცა, შეიყვარა ქეთო ლანდიას შემოქმედება.

ქეთოს საოცრად უყვარს თავისი საქმე. ის ასე მსჯელობს: დიქტორი ტექსტს ალღოთი და შთაგონებით უნდა ჩასწვდეს, მასალა მიმზიდველი, საინტერესო უნდა გახადოს, მხოლოდ მაშინ შეძლებს მსმენელი დაიპყროს, დაატყვევოს.



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ კ. მარქსის

ამიტომაც არის ასეთი მყარი ურთიერთობა დიქტორსა და მსმენელს შორის. ამიტომაც ინტერესით უსმენს მას მილიონობით ადამიანი. მიკროფონთან მხატვრულ ნაწარმოებებს კითხულობს. კითხულობს პოეზიისა და პროზის ნიმუშებს, პუბლიცისტურ სტატიებს, მხატვრულ ნარკვევებს. ლაღად ავლენს მსახიობურ შესაძლებლობებს. რადიოთი გადასაცემი პუბლიცისტური მასალა კი მისთვის ძირითადია, უპირველესი.

საბჭოთა რადიომაუწყებლობის განვითარებაში ღვაწლისათვის და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ქეთო ლანდია ამას წინათ „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს. მისი მოღვაწეობის 50 წელი ფართოდ აღნიშნა საზოგადოებრიობამ. იუბილარმა აბასთუმნიდან ნინო ვარდიძის ლექსი მიიღო:

გაზაფხულზე მერცხალივით დაიბადე
და ეთერშიც რადიოთი გაჩნდი მერცხლად.
აზიდულო ქართლის გულით მეცხრე ცამდე
ქალის თმები ნახევარმა საუკუნემ
შეგივერცხლა.

ქეთო ლანდია მხოლოდ სადიქტორო მასშტაბებით როდი იფარგლებოდა, ახალციხეში, სამტრედიაში, წულუკიძესა და ქუთაისში პოეზიის საღამოებში მონაწილეობდა — სცენიდან ჟღერდა მისი ხავერდოვანი ხმა.

მაყურებელი ეზიარებოდა მირზა გელოვანის უკვდავ პოეზიას.

მხატვრული კითხვის შესანიშნავი ოსტატი ქეთო ლანდია იდგა სცენის რამპასთან და დიდი შთაგონებით წარმოთქვამდა:

შენ არ მოდიხარ, დიდება მიცდის,
ვითვლი საათებს, ყვითელ უწყებებს,
ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა,
მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ.

მადლიერი მაყურებელი პოეზიის, მხატვრული კითხვის ოსტატს ყოველთვის სიყვარულით უკრავს ტაშს და ხალხის სიყვარული ხომ ყველაზე დიდი და საპატიო ჯილდოა ამ ქვეყანაზე!

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზის დასაწყისთან



ცხოვრების გზის დასაწყისთან დგას საბურთალოს რაიონის „მმაჩის" ბიუროს განყოფილების გამგე რუსუდან კვინიკაძე. სანამ ჩვენთან საუბარს დაიწყებდა, განსაკუთრებული სიყვარულით შეავლო თვალი ლარნაკში ჩალაგებულ ალისფერ ტიტებს, თვითონაც ამ ტიტებივით აეფაკლა სახე და აღტაცება ვერ დაფარა:

— ვალერ ეფხოშვილმა მომართვა დღეს. შეოთხე შვილი შეეძინა. დაბადების მოწმობა გადავეცი, უნდოდა ჩემთვის რითიმე ესიამოვნებინა, ასე იცის დიდმა სიხარულმა, გულში რომ ვერ იტევ და გინდა ვინმეს გაუზიარო.

ჩავეკითხე და გამოირკვა: თურმე, სანამ დაცოლშვილდებოდა, იმდენი შვილის ყოლაზე ოცნებობდა, ათკაციანი ავტობუსი რომ ვერ დაიტევდა. ვალერის ოცნებას ფრთები ესხმება, მისი ოჯახი ახალგაზრდაა, მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს. ასეთი ოჯახები თითქმის ყველა საგულდაგულოდ მყავს აღრიცხული ჟურნალში.

სანამ რუსუდანი აქ მოვიდოდა სამუშაოდ, საქართველოს „თევზმრეწვის" კომბინატში იმუშავა იურისტად; საგამომძიებლო იზოლატორის კომკავშირის კომიტეტის მდივანი და პარტბიუროს წევრიც იყო; თვრამეტი წლისა სკკპ რიგებში მიიღეს. როცა ორჯონიკიძის რაიონს საბურთალოს რაიონი გამოეყო და ჯერი „მმაჩის" ბიუროს განყოფილების გამგის დანიშვნაზე მიდგა, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა არჩევანი რ. კვინიკაძეზე შეაჩერა. სამუშაო ოთახში იხმო. მამაშვილურად დაარიგა მოვალეობის შესრულებისას ბოლომდე ისეთივე უანგარო უნდა იყო, როგორადაც დღემდე გიცნობენო. თან საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსიც უსახსოვრა. ამ წიგნს რუსუდანი საგულდაგულოდ ინახავს და თვალისჩინივით უფრთხილდება.

უამრავი სადაო თუ საჭირბოროტო საკითხის მოგვარება უხდება იურისტ ქალს, ჯერ ისევ ახალგაზრდას, მაგრამ ბუნებით მტკიცესა და ცოდნით შეიარაღებულს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში მიღებულ თეორიულ განათლებას და ყოველდღიურ პრაქტიკულ გამოცდილებას კარგად უხამებს ერთმანეთს. არის საკითხები, რომელთაც საბჭოთა კანონის შემწეობით გადაწყვეტს, ზოგჯერ დაუწერელ კანონსაც მიმართავს ხოლმე.

დღეს, როცა საქართველოში, კერძოდ კი მის ქალაქებში, დიდებული სარიტუალო და საწესჩვეულებო სასახლეები მომრავლდა და ამოქმედდა, რატომღაც გებადება აზრი, რაიონული „მმაჩის" ბიუროები მაშ რაღა ფუნქციებს უნდა ასრულებდესო. დიახაც, რომ ყოვლად გამართლებული და აუცილებელია მათი არსებობა. და აი, რატომ: იშვიათ შემთხვევაში მეორედ, მესამედ მექორწინენი ერიდებიან გადაჭარბებულ რიტუალებს, ზოგიერთს ასაკის გამოც ეუხერხულება დიდებულ დარბაზებში გამოჩენა, ზოგნი კი ასეთ მყუდრო ოთახებში ამჯობინებენ გააფორმონ დაბადების რეგისტრაცია, შვილად აყვანა, სახელისა და გვარის გამოცვლა, მამობის დადგენა, ქორწინება-განქორწინება და უამრავი სხვა სადავო საქმე.

ამ ბოლო დროს აქა-იქ ჩნდებიან გამდიდრების მანიით შეპყრობილი ეგრეთწოდებული ფიქტიური მექორწინენი, რომელთა მოქმედებას საფუძვლად სხვადასხვა ბნელი ზრახვები უდევს. ეჭვმიტანილების მიმართ რუსუდანი სასტიკია და უშეღავათო.

რუსუდან კვინიკაძე კარგი მუშაობისათვის წლეულს საბურთალოს რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამან ერთიორად შემატა მხნეობა, ხალისი და პასუხისმგებლობა.

მას გადაწყვეტილი აქვს მერმისისთვის რაიონში მცხოვრებმა მრავალშვილიანმა სამაგალითო დედებმა გადასცენ ხოლმე დაბადების მოწმობები ახალბედა მშობლებს, დალოცონ ისინი, დაარიგონ, პირადი მაგალითით მოუწოდონ ოჯახის გამრავლება-განმტკიცებისაკენ. და კიდევ და კიდევ მოაგონონ შეგონება: „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა", და ისიც, რომ მრავალი და კარგად აღზრდილი შვილი თითოეული ჩვენთაგანის უკვდავება და გარანტირებული, უზრუნველი სიბერეც არის.

წინ დიდი და საინტერესო გზა აქვს სავალი. რუსუდან კვინიკაძე იმედიანად დგას ამ გზის დასაწყისთან, სწამს პირადი მაგალითის ძალისა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თვითონაც იყოლიოს მრავალი შვილი, რათა ჯერ თავად იყოს სამაგალითო დედა და მისაბაძი საზოგადო მოღვაწე, მერე კი სხვებს ასწავლოს და მოუწოდოს.

ნანული ბუკია



# მარიამ დემურია – საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ჟურნალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ დემურია იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორი, თბილისის სახალხო კითხვის საზოგადოების თეატრალური სექციის ხელმძღვანელი, ყოველგვარი ორგანიზაციული საქმის სულისჩამდგმელი, მრავალი ნიჭიერი მსახიობის აღმომჩენი, სახალხო თეატრთან ინტელიგენციის დამაკავშირებელი.

მარიამ დემურია (ივანიშვილი) დაიბადა ქართლში, ქალაქ გორში. ოჯახში, სადაც ის იზრდებოდა, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის განსაკუთრებული სიყვარული მეფობდა. მარიამს ბავშვობიდანვე შთაუნერგეს ქართული ენისა და სამშობლო ქვეყნის სიყვარული.

ადრე დაქვრივებულ მარიამს აღსაზრდელად ორი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა. მაგრამ მძიმე ხვედრს არ შეუშინდა და საცხოვრებლად თბილისს მოაშურა. მართალია, აქაც ნარ-ეკლიანი გზით უნდაევლო, მაგრამ მის მოუსვენარ სულს აქ შეეძლო ერთგვარი კმაყოფილება ეპოვა, რადგან მარიამისთანა ადამიანისათვის სწორედ თბილისი იყო სამოღვაწეო სარბიელი.

მარიამ დემურიას კარგად ესმოდა სახალხო თეატრის მნიშვნელობა. იცოდა, რომ სახალხო თეატრი ხელს უწყობდა ხალხის ახალი ცხოვრებისათვის მომზადებას.

იმ დროს სახალხო კითხვას ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნიკო ხუდადოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც კარგი ექიმის გარდა დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო, მშრომელ ხალხსა და ქართველ ინტელიგენციას უყვარდა იგი და დიდ პატივს სცემდა, და აი, მარიამი მისი მარჯვენა ხელი გახდა, თავდაპირველად სახალხო კითხვის მოწყობის საქმე იკისრა. მისი თაოსნობით ეწყობოდა ხოლმე კითხვა საგუბერნიო და მეტეხის ციხის ტუსაღებისათვის. კვირაობით კი მუშებს უკითხავდნენ ლექციებს, მოთხრობებს.

სახალხო კითხვებიც და სახალხო წარმოდგენებიც „ავჭალის აუდიტორიაში" იმართებოდა. ერთ დროს ამ სახლში საჩაიე იყო მოთავსებული. ეს შენობა ქალაქისათვის შეუწირავს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ილია წინამძღვრიშვილს. მერე ექიმ ნიკო ხუდადოვის ხელში გადასულა, სადაც ლექციებს კითხულობდნენ. შემდგომში ხუდადოვს შენობა სცენისმოყვარეთათვის დაუთმია წარმოდგენების გასამართავად, ხოლო ქართველ მოწინავე მუშებსა და ხელოსნებს თეატრად გადაუკეთებიათ, რადგან თბილისის შუაგულში მოთავსებული სათავადაზნაურო თეატრი ტერიტორიული სიშორისა და ბილეთების სიძვირის გამო მიუწვდომელი იყო.

1893 წლის 23 სექტემბერს სცენისმოყვარეთა მონაწილეობით მაყურებელს უფასოდ უჩვენეს ავქსენტი ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ".

„სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ" შეიმუშავა წესდება, რომელმაც ნათლად ასახა წრის დანიშნულება, სამოქმედო გეგმა და ამოცანები. ავჭალის აუდიტორიამ მუშათა და გლეხთა ფართო მასების სიყვარული მოიპოვა, „ამხანაგობამ" ასპარეზი თანდათან გააფართოვა. იდგმებოდა პიესები: „დაძმა", „არსენა", „ადვოკატები". ყოველი წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა დივერტისმენტები, სადაც მუშა პოეტები კითხულობდნენ თავიანთ რევოლუციურ ლექსებს.

ავჭალის აუდიტორიამ დემოკრატიული ინტელიგენციის ყურადღებაც მიიპყრო. აქ მუშები და ინტელიგენცია ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ილვწოდნენ მშრომელი ხალხის განვითარებისა და გათვითცნობიერების საქმეში.

1895 წელს მეფის ხელისუფლებამ აკრძალა წარმოდგენების „ავჭალის აუდიტორიაში" გამართვა, მაგრამ გამგეობის წევრებმა მათი ჩვენება 1897 წლის დასაწყისამდე, ქალაქგარეთ გადაიტანეს.

სწორედ ამ დროს მოევლინა მარიამ დემურია შემწედ „ავჭალის აუდიტორიას", სახალხო საქმისათვის არ იშურებდა ძალასა და ენერგიას, აწუხებდა ნაცნობ-მეგობრებს.

საზოგადო საქმე მარიამ დემურიასათვის მაცოცხლებელი წყარო იყო, ამიტომაც ასე გულწრფელად იგონებს მას ილია ნაკაშიძე. „მარიამ დემურია სწორედ ჩვენი სინდისის ხორცშესხმული მხილება იყო. როდესაც კი შევხვდებოდით, თავის დღეში არ გაიგონებდით მის ჩივილს ან წუწუნს, რამე თავისი საკუთარი მწუხარებისა ან დარდის გამო. მისი სამწუხარო და სადარდო ყოველთვის საზოგადო საქმე იყო, სახალხო თეატრი, სახალხო კითხვები, საბავშვო ჟურნალი. მარიამი ისე მხნედ და დაუინებით გთხოვდათ საზოგადო საქმეში დახმარებას, რომ გულში დახმარების სურვილი უეჭველად გაგეღვიძებოდათ, დაგავიწყებდათ საკუთარ საქმეებსა და მწუხარებას და კალამს აგაღებინებდათ ხელში, ან რაიმე სახალხო საქმეში მონაწილეობას მიგაღებინებდათ".

სიყვარულით, თხოვნით მიუყვანია სახალხო თეატრში მარიამს ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი და სხვები. ქართული თეატრის მესვეურთა მისვლას უფრო განუმტკიცებია მუშათა და ხელოსანთა სახალხო აუდიტორია. მარიამი მონაწილეობდა თეატრის რეპერტუარის შედგენაში, თუ საჭირო იყო, ქალის როლსაც განასახიერებდა ხოლმე სცენაზე.

ცხრაასიან წლებში ძმებმა ზუბალაშვილებმა კირკის (ამჟამად მარჯანიშვილის) ქუჩაზე სახალხო თეატრის შენობა ააგეს (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი). ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეებმა აქ დაიდეს ბინა.

1909 წლის 4 აპრილს ახალ შენობაში პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს ნ. გოგოლის „რევიზორი". პრემიერას დიდძალი ხალხი დაესწრო. მარიამს უხაროდა ნაამაგარი სახალხო თეატრის წინსვლა, აღმავლობა. იგი ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების გამმართველი წრის გამგეობის თავმჯდომარე იყო.

1923 წელს, როცა სახალხო თეატრის დაარსების ოცდაათი წელი აღინიშნა, მარიამი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მისი

ღვაწლი შესაფერისად მოიხსენიეს თეატრის საიუბილეო კომიტეტის, ქართული დრამის გამგეობის და თეატრალური დასის წევრებმა. მოიგონეს სახალხო თეატრის დიდი მოამაგე, სასიქადულო ადამიანი და საზოგადო მოღვაწე. ზეიმის დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში მისი სამოქალაქო პანაშვიდი გადაიხადეს.

ამ პერიოდში, სახალხო თეატრის მუშაობის პარალელურად, ნაძალადევში ყალიბდებოდა სახალხო ბიბლიოთეკა. მარიამმა ამ დიდ კულტურულ საქმესაც უანგარო ამაგი დასდო.

და აი, ერთ დღეს მარიამს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის მიუმართავს განცხადებით: „რადგან ნაძალადევში დიდი მოთხოვნილებაა ბიბლიოთეკისა, ექვსას კომლზე მეტი სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებული ქართველი მუშა ხალხი ცხოვრობს, გთხოვთ ამ ადგილას გახსნათ ბიბლიოთეკა“.

1901 წლის 7 იანვარს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გუბერნატორისათვის ნაძალადევში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა უთხოვია.

გუბერნატორს ხუთი თვის შემდეგ დაურთავს ნება, ისიც იმ პირობით, თუ ბიბლიოთეკა უფასო იქნებოდა.

ამასაც არ შეუშინებია დემურიას ქალი. ილია ჭავჭავაძეც ამოსდგომია მხარში, საშუალებაც გამოუძებნია და წიგნების შეგროვება დაუწყია. ზოგს ფულადი დახმარებაც კი გაუწევია. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ყველა თავისი გამოცემის თითო ცალი უჩუქებია. ასე თანდათან შეუგროვებიათ წიგნები.

ანა ვლადიმერის ასულ ხუდადოვას 120 ცალი წიგნი შეუწირავს. მარიამს „ცნობის ფურცელში“ სახალხოდ მადლობა გამოუცხადებია ქველმოქმედი ქალისათვის.

1901 წლის 24 ივნისს ნაძალადევში (მაგისტრალის ქ. № 17) გაიხსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა. მუშებს დიდი ზეიმით აღუნიშნავთ ეს მოვლენა. გახსნას ილია ჭავჭავაძეც დასწრებია და ოქროს თუმნიანი შეუწირავს ბიბლიოთეკისთვის.

1902 წელს, ჟანდარმერიამ ბევრჯერ გაჩხრიკა ბიბლიოთეკა, ბევრჯერ დახურვაც დაუპირა, მაგრამ ნაძალადევის ბიბლიოთეკა მაინც არსებობდა, მუშები მაინც იკრიბებოდნენ, კითხულობდნენ და გონებრივად ვითარდებოდნენ.

1900 წელს მარიამის თაოსნობით შეიქმნა მოწინავე ქართველ ქალთა წრე, რომელსაც ქართული საბავშვო წიგნების გამოცემა დაუსახავს მიზნად. მარიამს ამ საქმით ბევრი დაუინტერესებია. აკაკი წერეთლისათვის საჩხერეში მიუწერია, დახმარების ხელი გამოგვიწოდეთო. აკაკის თავის მხრივ იაკობ გოგებაშვილისათვის მიუწერია. ამ წამოწყებას თანაგრძნობით შეხვედრია მგზნებარე რევოლუციონერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ალექსანდრე წულუკიძეც.

მართლაც, დიდი ენთუზიაზმით ამუშავებულა მოწინავე ქალთა წრე და 1902 წელს გამოუცია „ზღაპრების კრებული“,

სიყვარულით გააცნო მარიამმა ქართველ ბავშვებს ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობარი, ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი. მარიამსვე ეკუთვნის აგრეთვე მშვენივრად დაწერილი ბიოგრაფია მაჩაბელზე.

ამას მოჰყვა მის მიერ შექმნილი ორიგინალური მეცნიერულ-პოპულარული ნაწარმოები „პატარა მეცნიერი“ და „ტასიკოს მამაცობა“.

სოციალურ თემაზე შექმნილი მისი მოთხრობები: „მხერხავი ლექსო“, „ბატონყმობის დროის ამბავი“, „პირველი გაფიცვა“, „ბაბა წაიყვანეს“ და სხვა ბავშვებს ძალიან მოსწონდათ.

მ. დემურია წერდა და თარგმნიდა მოთხრობებს და პიესებს. მისი საბავშვო პიესები გამოქვეყნებულია 1922 წელს გამოცემულ წიგნში — „ქართული საბავშვო პიესათა კრებული“.

მარიამ დემურიას პატარა ბინა უამრავ მომსვლელს იტევდა. სწორედ ასეთ შეკრებაზე გამოითქვა მეორე საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“ გამოცემის აზრი.

და აი, 1904 წლიდან, მარიამის თაოსნობით ჟურნალ „ჯეჯილის“ გვერდით გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ნაკადული“.

ჟურნალს ბევრი ნათლია გამოუჩნდა. აკაკი „ნამის“ დარქმევას მოითხოვდა, ივანე მაჭავარიანმა „წყარო“ სჯობსო. მარიამს კი „ნაკადული“ მოსწონდა. სოფრომ მგალობლიშვილი მარიამს უჭერდა მხარს.

ამის გამო აკაკის უოხუნჯია: „კარგი „ნაკადული“ „ჯეჯილს“ კარგად მორწყავსო და კარგი მოსავალი იქნებაო“.

„ნაკადულის“ პირველი ნომერი მცირეწლოვანთათვის შიო მღვიმელის ლექსით — „ნაკადულით“ გაიხსნა.

მარიამ დემურიას ბავშვებთან სასაუბროდ „ნაკადულში“ მოუწვევია აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, შიო მღვიმელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნინო, ილია ნაკაშიძეები... ვინ ჩამოთვლის „ნაკადულში“ მოღვაწეთ! ნინო ნაკაშიძის თქმით, ვერ ნახავდით მწერალს, რომელსაც საპატიოდ არ მიაჩნდა აქ მუშაობა...

1904 წლის 29 აგვისტოს აკაკი წერეთელს გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია წერილი სათაურით „მცირე რამ“. ამ წერილში დიდი პოეტი წერდა: „მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზეც ქალები გვჯობნიან... ერთი მარიამ დემურია უდრის მრავალს მოღვაწე კაცთაგანს“.

ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებაში მარიამს დაუცხრომელ ქველმოქმედს ეძახდნენ.

სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გაუძლო მისმა ჯანმრთელობამ ამ დაძაბულ შრომას. 1910 წელს მარიამი გარდაიცვალა.

ვისაც კი მარიამ დემურიას სურათი უნახავს, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მისი ლამაზი, სანდომიანი, მეტყველი სახით. სულიერად ასევე ლამაზ და საყვარელ ადამიანად წარმოგვიდგება იგი მთელი თავისი მღელვარე ცხოვრებით.

თამარ გომართელი




# გთხოვთ დამეხმაროთ

ძვირფასო რედაქციავ! 1934 წლიდან სხვადასხვა რაიონში, ხოლო 1946 წლიდან დღემდე ვმუშაობდი სოფელ წყნეთში (ამჟამად დაბა წყნეთის) საექიმო ამბულატორიის გამგე ექიმ-თერაპევტად.

ამ ხნის მანძილზე კეთილსინდისიერად ვასრულებდი დაკისრებულ მოვალეობას. კარგი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული მაქვს სიგელები, მადლობები. დაჯილდოებული ვარ „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსნის“ საპატიო ნიშნით. წლების მანძილზე არჩეული ვიყავი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეორე, მეშვიდე, მერვე მოწვევის დეპუტატად.

1946 წლიდან დღემდე ვარ წყნეთის სახალხო საბჭოს დეპუტატი. ვინ მოთვლის რამდენი დაბრკოლება გადამიტანია ცხენზე ამხედრებულს ახალდაბასა და ნახშირგორში დღისით თუ ღამით მიმავალს, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ ვასრულებდი ჩემს წმიდა მოვალეობას.

ალბათ ეს არის მიზეზი, რომ დაბა წყნეთის მოსახლეობა თავიანთი ოჯახის ახლობლად მთვლის და ზოგმა წყნეთის დედაც კი შემარქვა...

წყნეთელებს არასოდეს არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამთ და არც საჩივარი დაუწერიათ ჩემზე. და აი, 1985 წლის 14 იანვარს თბილისის ჯანდაცვის სამმართველომ ჩემი, — სამედიცინო დარგში 51 წლის სტაჟის მქონე ქალის მუშაობა შეამოწმა. 25 იანვარს უმიზეზოდ სამუშაოდან მომხსნეს. გთხოვთ დამეხმაროთ სიმართლის დადგენაში. — გვწერდა ბაბილინა ვასილის ასული კიკნაძე.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ი. მენაღარაშვილი გვატყობინებს:

განვიხილეთ დაბა წყნეთის საექიმო ამბულატორიის ყოფილი გამგის ბაბილინა ვასილის ასულ კიკნაძის განცხადება. დადგინდა, რომ ბ. კიკნაძე სამსახურიდან კანონის დარღვევით დაითხოვეს, ამიტომ ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსს დაევალა, რომ გააუქმოს თავისი ბრძანება და სამუშაოზე აღადგინოს ბ. კიკნაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიტამინიანი ნიღბები



1. სტაფილოს ნიღაბი: — გახეხეთ ორი სტაფილო, შეურიეთ 1 ჩაის კოვზი კარტოფილის ფქვილი და 1 კვერცხის გული. ეს მასა დაიდეთ დაბანილ სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით, ბოლოს შეისხით ცივი წყალი. ეს ნიღაბი კარგად მოქმედებს ნებისმიერ კანზე და შეგიძლიათ ხშირად გამოიყენოთ.

2. ნიღაბი კიტრის კანისაგან: — კიტრის კანი შეიცავს გაცილებით მეტ მკვებავ სუბსტანციას, ვიდრე კიტრის გული. კიტრის ნაფცქვენები (გათლისთანავე) დაიდეთ დაბანილ სახეზე, ზემოდან კი დაიფარეთ ნოტიო ნაჭერი (იგი შეიძლება კიტრის წვენში დაასველოთ). ნიღაბი გაიჩერეთ 20 წუთს. ნაფცქვნების ჩამოცილების შემდეგ სახეს ნუ დაიბანთ. ეს ნიღაბი ძალიან აცოცხლებს სახის კანს.

3. ნიღაბი მწვანილისაგან. ერთი მუჭა მწვანილი — ოხრახუში, მჟაუნა, ანისი, როზმარინი, ქონდარი, ტყის წიწმატი წამოადუღეთ ერთ ჭიქა რძესთან ერთად. შემდეგ ეს მწვანილი დააწყეთ დოლბანდზე და დაიფინეთ სახეზე, ზემოდან დაიფინეთ ნაჭერი, რომელიც დასველებულია მწვანილთან ერთად წამოდუღებულ რძეში. ნიღაბი გაიჩერეთ 15 წუთს. სახეს ნუ დაიბანთ ნიღბის მოცილების შემდეგ. წაისვით მხოლოდ მკვებავი კრემი.

ყველა ზემოთაღწერილი ნიღაბი კისერზეც შეგიძლიათ დაიდოთ.

### საფუარის შესახებ

მართალია, საფუარი მცენარეს არ წარმოადგენს (იგი ერთუჯრედიანი სოკოა), მაგრამ იგი შეიცავს ბევრ ვიტამინს, როგორებიცაა: პროვიტამინი $Д_2$, ვიტამინები H და PP; უპირველეს ყოვლისა კი — B ჯგუფის ვიტამინებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი პროცესებისათვის, როგორებიცაა ცილების, ნახშირწყლების და ცხიმების ცვლა.

საფუარი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. იგი ძალიან სასარგებლოა ახალგაზრდებისათვის, რომელთაც აქვთ გამონაყარი სახეზე ან უსკდებათ ტუჩების კუთხეები, აქვთ ცუდი კანი; სასარგებლოა აგრეთვე იმათთვის, რომელთაც აწუხებთ სისუსტე, ადვილად იღლებიან და დაქვეითებული აქვთ ორგანიზმის წინააღმდეგობა ინფექციების მიმართ. საფუარი ვიტამინების მდიდარი წყაროა და თუ თითო ჭიქა საფუარს მიიღებთ კვირაში 2—3-ჯერ, თქვენი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. უნდა აიღოთ 20—30 გრამი მშრალი, დაფხვნილი საფუარი, დაასხათ 1 ჭიქა მდუღარე რძე და გაცივების შემდეგ ნელ-ნელა დალიოთ. შეიძლება დაუმატოთ 1 კოვზი თაფლი.

პოლონურიდან თარგმნა

ე. ხარატიშვილმა

# რჩევები

მოცისფრო-მოლურჯო ბამბის ქსოვილი ან მუქი აბრეშუმი გარეცხვის შემდეგ ცხელ მარილიან წყალში (სამი სუფრის კოვზი მარილი ერთ ლიტრ წყალზე) უნდა გაავლოთ. ეს ქსოვილს ახასხასებს და პეწს მატებს.

* * *

ტყავის ჩანთა, პალტო, ჩემოდანი კარგად იწმინდება წყლის, საპნისა და ნიშადურის სპირტის ნარევით. გასაპრიალებლად კი აბუსალათინის ზეთი უნდა იხმაროთ.

* * *

რეზინის ჩექმები ელვარებას დიდხანს შეინარჩუნებს, თუ თბილი წყლით გარეცხავთ და რამდენიმე წვეთ გლიცერინსა ან მცენარეულ ზეთში ჩაწობილი მშრალი ნაჭრით გააპრიალებთ. ხელოვნური ლაქის ჩექმები კი ვაზელინით გაპრიალდება.

* * *

თუ კაკალი (ნაჭუჭიანი) გამომშრალია, მას 4—5 დღით უნდა დაასხათ ოდნავ მარილიანი წყალი. კაკალი ისევ დაიბრუნებს თავის კონსისტენციასა და გემოს.

* * *

თუ ფანჯრის მინებს მარილით გაწმენდთ (მარილი სელის ნაჭერში მოათავსეთ), მინები აღარ დაიორთქლება.

* * *

ბოსტნეული 70 პროცენტ ვიტამინებს დაკარგავს, თუ მას თავიდანვე მარილიან წყალში მოხარშავთ. უმჯობესია, ბოსტნეულიანი კერძი მაშინ შეკაზმოთ მარილით, როცა ბოსტნეული შერბილდება.

ცილა კარგად აითქვიფება, თუ რამდენიმე წვეთ ცივ წყალს ან ერთ მწიკვ მარილს ჩაუმატებთ.

* * *

სპილენძისა და თითბრის ნივთები უმჯობესია გააპრიალოთ ძმარში დასველებული მარილით, შემდეგ კი გაავლოთ თბილ წყალში.

* * *

პამიდვრის საწებელა, რომლის ხმარებაც უკვე დაიწყეთ, არ დაობდება, თუ ქილაში საწებელას მარილს დაუმატებთ, ხოლო ზემოდან ცოტა ზეთს დაასხამთ.

* * *

ფერადი ქსოვილები არ გახუნდება, თუ ოდნავ თბილსა და მარილიან წყალში გარეცხავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარული კერძები

## არჩმა — ხაჭაპური

4 ცალი კვერცხი, 300 გრამი წყალი, 500 გრამი ერბო, $^1/_2$ ჩაის კოვზი მარილი, 1,5 კილოგრამი ჭყინტი ყველი. ფქვილი — რამდენსაც შეიწოვს.

სანამ ცომს მოვამზადებდეთ, ქურაზე ფართო ქვაბით ან მომინანქრებული გობით დავადგათ წყალი, ჩავყაროთ ერთი პეშვი მარილი და ავადუღოთ.

მეორე მომინანქრებულ გობზე 300 გრამ წყალში ავთქვიფოთ 4 ცალი კვერცხი, დავუმატოთ მარილი და ფქვილი, რამდენსაც შეიწოვს, ისე რომ მივიღოთ საშუალო ზომისა და სისქის ცომი, გავყოთ ცომი ათ ტოლ ნაწილად, გავაბრტყელოთ თითოეული თხელ ფენად. მოვამზადოთ ტაფა, ქურაში გამოსაცხობად. სასურველია ალუმინისა. მოვასხათ ზედ ერბო, რომელიც გვაქვს გამდნარი ან უმჯობესია, გამჭვირვალე ფერის ნადუღარი ერბო. გაბრტყელებული ფენა, რომელიც ტაფის ზომისაა, ფრთხილად ჩავუშვათ ადუღებულ მარილწყალში. იცვლის თუ არა ფერს ამოვიღოთ საწურითა და ქაფქირით და ჩავაგდოთ ცივ წყალში. გაწურული ფენა დავაფინოთ ერბოწასმულ ტაფაზე, მოვასხათ ზემოდან ერბო, ასე გავიმეორებთ ყველა ფენაზე, ოთხი ფენის შემდეგ კი მოვაყაროთ დაჭყლეტილი ჭყინტი ყველი, ზედა ფენა სასურველია იყოს დიდი, რადგან ეს ფენა ტაფის ოთხივე მხარეს უნდა შემოუკეცოთ. გააჩერეთ 10-15 წუთს, შემდეგ დაჭერით ოთხკუთხედ ნაჭრებად და შედგით ღუმელში გამოსაცხობად.

სუფრაზე მივიტანოთ ცხლად.

## იახნი

1,5 კილოგრამი ხორცი, 0,5 კილოგრამი ხახვი, 1 ჭიქა დარჩეული ნიგოზი, 100 გრამი ნიორი, 0,5 ჭიქა ხმელი ქინძი, 0,5 ჭიქა ზაფრანი, შავი პილპილი, მარილი გემოვნებით.

ავილოთ 3 კილოგრამი მსუქანი ხორცი (შეიძლება ძვლებიანიც), დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, დავასხათ წყალი ისე, რომ ხორცი კარგად დაფაროს და ვადუღოთ, დუღილის დროს ქაფი მოვხადოთ; შუა ხარშვაში ხორცს დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიგოზი, რომელიც ზაფრანით, შავი პილპილით, ხმელი ქინძით და მარილით არის შეზავებული. ნიორი დავუმატოთ ქურიდან გადმოდგმისას.

სუფრაზე მივიტანოთ ცხლად.

## ძალიანი ქათამი

1 ცალი დიდი ქათამი, 150 გრამი ხახვი, 1 ჭიქა ნიგოზი, 1 ჭიქა ბრინჯი, 0,5 სუფრის კოვზი სისამი, 0, 5 ჭიქა ხმელი ქინძი, 25 გრამი ნედლი ქინძი, 1/4 ჭიქა ზაფრანი, 1 თავი ნიორი; შავი პილპილი და მარილი გემოვნებით.

კარგად გასუფთავებული და გარეცხილი ქათამი დავჭრათ, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ წყალი და ვადუღოთ, ნახევრად მოხარშულ ქათამს დავუმატოთ 150 გრამი წვრილად დაჭრილი ხახვი, გატარებული ნიგოზი (შეზელილი ნახევარ ჭიქა ზაფრანთან). 1 ჭიქა დარჩეული და გარეცხილი ბრინჯი და ნელ ცეცხლზე ვადუღოთ; ცეცხლიდან გადმოდგმისას ჩავუმატოთ ხმელი ქინძი, სისამი, ნედლი ქინძი, შავი პილპილი, გატარებული ან როდინში დანაყილი ნიორი და მარილი თქვენი გემოვნებით.

სუფრაზე მივიტანოთ ცხლად, ზემოდან მოვასხათ ნიგვზის ზეთი.

## ჩირბული ნიორ-მჟავით

10 ცალი კვერცხი, 50 გრამი ხახვი, 100 გრამი ერბო, 25 გრამი მჭადის ფქვილი, $^1/_4$ ჩაის კოვზი ტყემლის საწებელა, მარილი და ნიორი გემოვნებით.

წვრილად დაჭრილი ხახვი და ერბო ერთად ვხრაკოთ, დავუმატოთ გაცრილი მჭადის ფქვილი, განვაგრძოთ ხრაკვა, ვეცადოთ ფქვილი არ დავწვათ; დავასხათ ნახევარი ლიტრი წყალი, მოვაყაროთ მარილი, დავუმატოთ ნიორი და ტყემლის საწებელა.

სუფრაზე მივიტანოთ ცხლად.

## ჩირბული ნიგვზით

10 ცალი კვერცხი, 50 გრამი ხახვი 50 გრამი ნიგოზი, 100 გრამი ერბო, 1 სუფრის კოვზი ზაფრანა; ნიორი და მარილი გემოვნებით.

100 გრამ ერბოში მოვხრაკოთ წვრილად დაჭრილი 50 გრამი ხახვი, დავასხათ ნახევარი ლიტრი წყალი, ადუღებულ წყალს დავუმატოთ 50 გრამი გატარებული ნიგოზი და ზაფრანა (ერთად შეზელილი), ერთი მეორის მიყოლებით ჩავახალოთ აუთქვეფავი კვერცხები. ცილა, რომ გათეთრდება, დავუმატოთ ნიორი და მარილი გემოვნებით. მივიტანოთ სუფრაზე ცხლად.

რიმა ბაკურიძე,
ქობულეთი — სოფელი გორგაძეებ.ı

## ბაქლავა

2 ცალი კვერცხი, 850 გრამი შაქარი, 1 კილოგრამი კარაქი, 350 გრამი წყალი, ფქვილი — რამდენსაც შეიწოვს, 500 გრამი გარჩეული, კანგაცლილი თხილი ან ნიგოზი.

2 ცალი კვერცხი და 100 გრამი შაქარი კარგად ავთქვიფოთ, ჩავასხათ 250 გრამი თბილი წყალი და 200 გრამი გამდნარი (ადუღებული) კარაქი, კარგად ავურიოთ; პურის ფქვილი ვიხმაროთ იმდენი, რამდენსაც შეიწოვს, (ისე რომ საშუალო ზომისა და სისქის ცომი მივიღოთ).

ცომი გავყოთ 30 ნაწილად, გავაბრტყელოთ თითოეული პატარა ფენად. მოსაფრქვევად ვიხმაროთ პურის ან, უმჯობესია, კარტოფილის ფქვილი, ფენასა და ფენას შუა დავუტნიოთ თეთრი ქაღალდი. ზემოდან დავაფაროთ ჩაის ტილო და გავაჩეროთ თბილ ადგილას 10—15 წუთს.

ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ გამზადებული თხილი ან ნიგოზი, დავუმატოთ 600 გრამი შაქარი და კარგად ავურიოთ.

მოვამზადოთ ალუმინის ტაფა, მოვასხათ კარაქი, გამზადებული ფენები გავაბრტყელოთ (ხელით გავწიოთ) ტაფის დონეზე, მოვასხათ კარაქი, ასე გავიმეოროთ ხუთ ფენამდე. ხუთი ფენის მერე, კი მოვასხათ კარაქი და მოვაყაროთ გამზადებული თხილიც, ხოლო ბოლო ხუთ ფენაზე მარტო კარაქი მოვასხათ, გარდა სულ ზედა ფენისა.

შემდეგ დავჭრათ, ზემოდან მოვასხათ გამდნარი კარაქი, შევდგათ ცხელ ღუმელში და გამოვაცხოთ საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე (20 — 25 წუთის განმავლობაში). როცა გამოვიღებთ, ზემოდან მოვასხათ დადუღებული ცივი სიროფი.

სიროფის მომზადება: 150 გრამი შაქარი და 100 გრამი წყალი ავადუღოთ კარგად 10—15 წუთის განმავლობაში და გავაცივოთ.

ნაზი ლორთქიფანიძე
ქობულეთი — სოფელი ხალა

# მოდა







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯინსის, მაღალი ჩექმებისა და მზის სათვალის შესახებ

მედიცინის მიერ დიდი ხნის შესწავლილ, ცნობილ დაავადებებს XX საუკუნის მოდამ თავისიც მიუმატა. მაგალითად: ცნობილი გახდა, რომ ჯინსის გამუდმებით ჩაცმა კანის დაავადებას აჩენს. ექიმები აღნიშნავენ, რომ თანდათან მატულობს იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც უჩივიან ფეხებისა და წელის არეში დაბუჟებას. გამოირკვა, რომ ყველა მათგანს ვიწრო ჯინსი აცვია. გამუდმებულ შებოჭილობაში მყოფი სხეული „აიძულებს“ ნერვულ რეცეპტორებს გადასცენ ტვინს შესატყვისი განგაშის სიგნალები. და აი, ჯინსიანს უჩნდება წელისა და ქვედა კიდურების დაბუჟება და კვდომის შეგრძნებაც კი.

იგივე ემართებათ გოგონებსა და ქალებსაც — მათ, ვინც მაღალყელიანი, ფეხზე მჭიდროდ შემოტმასნული ჩექმების მოდას არის აყოლილი. ქალის ჯანმრთელობაზე ფეხსაცმლის ასეთი უარყოფითი გავლენა პირველად მეორე მსოფლიო ომის წლებში აღინიშნა, როდესაც შრომის რაზმში ჩაწერილ ინგლისელ ქალებს მაღალყელიანი, ზონრიანი ჩექმები, ე. წ. „ველინგტონის ჩექმები“ დაურიგდათ. ისინიც უჩიოდნენ წელის დაბუჟებას. მაშინ ექიმებმა ურჩიეს ქალებს, 3-4 სანტიმეტრით დაედაბლებინათ ფეხსაცმლის ყელი. ახლაც იგივე მეორდება, ოღონდ მასობრივად. მეტწილად ექიმებს სხვადასხვა ასაკის ქალები მიმართავენ, რომლებიც მოდურ ფეხსაცმელს იცვამენ (მუხლამდე და უფრო მაღალყელიანსაც). რეცეპტი ყველასათვის ერთია — უფრო დაბალყელიანი ფეხსაცმელი ჩაიცვან.

მეორე თანამედროვე ნერვული დაავადება მზის სათვალესთან დაკავშირებით წარმოიშვება და ელვისებურად ვრცელდება. კინოს და ესტრადის ვარსკვლავებმა მზის სათვალე თანამედროვე, წარმატების მქონე ადამიანის იერსახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად აქციეს, თაყვანისმცემლებიც ბაძავენ მათ.

დაავადების ნიშნები ისეთივეა, როგორც ვიწრო ჯინსისა და მაღალყელიანი ჩექმების ხშირი ჩაცმის დროს — ადამიანს უჩნდება შეგრძნება კისრისა და ცხვირის ფუძის დაბუჟებისა, ხოლო თუ სათვალეს თავი არ მიანება, რამდენიმე კვირის შემდეგ დაბუჟება ცხვირსა და ტუჩებზეც ვრცელდება. განსაკუთრებით მავნებელია მზის საწინააღმდეგო დიდი სათვალე, რომელიც, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, მხედველობის კორექციის, გუგებს შორის მანძილის ინდივიდუალური ზომის მიხედვით არ შეირჩევა, რასაც ასევე მოსდევს მხედველობის დაქვეითება.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე — წულუკიძელი მეჩაიეები, დედა-შვილი გულიზარ დაბრუნდაშვილი და ქეთევან უზრეხელიძე

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54 გადაეცა ასაწყობად 5. 07. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 08. 85. ქაღალდის, ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8 ტირაჟი 148.000 შეკვ. 1494 უე 05581



ზღვაზე. დ. იაკობაშვილის ფოტო.



ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178